პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი | № 167 (10253) | შაბათი, 16 ივლისი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

საჯარო ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა დარბაზობა გამართა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის ხო ში მინის პატივსაცემად

14 ივლისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა კრემლის დიდ სასახლეში მოაწყო დარბაზობა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის ხო შ. მინის პატივსაცემად.

დარბაზობა დაიწყო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნების შესრულებით.

დარბაზობაზე იყვნენ: ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი ხო ში მინი, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის გენერალური მდივანი ტრუონგ შინი, ფინანსთა მინისტრი დე ვან გიენი, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი ფან ანი, განათლების მინისტრი ნგუენ ვან გუენი, მიწათმოქმედებისა და მეტყეველობის მინისტრი ნგიემ სუან იემი, პრეზიდენტის კანცელარიის უფროსი ნგუენ ზუი ტრინი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე უნგ ვან ხიემი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ფამ ნგოკ თხაკი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ნგუენ ლონგ ბანგი.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ: ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, პ. კ. პონომარენკო, ა. ბ. არისტოვი, პ. ნ. პოსპელოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ა. პ. ზავენიაგინი, ა. ნ. კოსიგინი, ვ. ა. კუჩერენკო, პ. პ. ლობანოვი, ვ. ა. მალიშევი, ი. თ. თევოსიანი, მ. ვ. ხრუნიჩევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები მ. პ. ტარასოვი, შ. რ. რაშიდოვი, მ. დ. ჩუბინიძე, მ. ა. იბრაგიმოვი, ტ. კულატოვი, შ. მ. არუშანიანი, ა. სარიევი, ო. ვ. კუუსინენი, ი. ი. პალეცკისი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე დ. ტ. შეპილოვი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. მ. პუზანოვი, სსრ კავშირის მინისტრები ს. ფ. ანტონოვი, პ. ი. ანტროპოვი, ვ. გ. ბაკაევი, ბ. პ. ბეშჩევი, ფ. დ. ვარაკსინი, პ. ნ. გორემიკინი, კ. პ. გორშენინი, პ. ვ. დემენტიევი, ნ. ა. დიგაი, მ. ა. ევსეევკო, ვ. პ. ელიუტინი, ვ. გ. ჟავორონკოვი, გ. კ. ჟუკოვი, ა. ნ. ზადემიდკო, ვ. პ. ზოტოვი, ა. ა. იშკოვი, ი. გ. კობანოვი, ვ. დ. კალმიკოვი, ე. ფ. კოქევნიკოვი, ი. კ. კოზიულია, ა. კ. კორტუნოვი, ლ. რ. კორნიეცი, ა. ი. კოსტოუსოვი, ი. ა. ლიხაჩევი, ფ. გ. ლოგინოვი, პ. ფ. ლომაკო, ლ. გ. მელნიკოვი, ნ. ა. მიხაილოვი, ე. ს. ნოვოსიოლოვი, ი. ი. ნოსენკო, გ. მ. ორლოვი, დ. ვ. პავლოვი, პ. ი. პარშინი, ნ. დ. პსურცევი, დ. ი. რაიზერი, ნ. ს. რიჟოვი, ი. ტ. სკიდანენკო, ს. ა. სტეპანოვი, ს. მ. ტიხომიროვი, ზ. ა. შაშკოვი, ა. გ. შერემეტიევი, საბჭოთა კავშირის მარშლები ი. ქ. ბაგრამიანი, ს. ს. ბირიუზოვი, კ. ს. მოსკალენკო, ვ. დ. სოკოლოვსკი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ნ. კ. ბაიბაკოვი, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ვ. ფ. პოპოვი, საკადესის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ნ. გ. პალგუნოვი, გაზეთ „იზვესტიის“ მთავარი რედაქტორი კ. ა. გუბინი, გაზეთ „კრასნაია ზვეზდის“ მთავარი რედაქტორი ვ. პ. მოსკოვსკი, ეკონომიური ურთიერთობის საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი კ. ი. კოვალი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის კომიტეტის მდივანი ი. ვ. კაპიტონოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ე. ა. ფურცევა, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. შელეპინი, სსრ კავშირის მინისტრების მოადგილეები ა. ა. გრომიკო, ვ. ვ. კუზნეცოვი, ვ. ა. ზორინი, ვ. ს. კემენოვი, ს. ვ. კაფტანოვი, ვ. ს. სემიონოვი, ნ. ტ. ფედორენკო, ი. ფ. სემიჩასტნოვი, ნ. ე. ტვერდოხლებოვი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ა. ა. ლავრიშჩევი, რუსეთის სფსრ განათლების მინისტრი ი. ა. კაიროვი, არტილერიის მარშალი მ. ი. ნედელინი, ადმირალი ნ. ე. ბასისტი, გენერალ-პოლკოვნიკები ა. ს. ჟელტოვი, თ. თ. კუზნეცოვი, ი. ა. სეროვი, მ. ა. შალინი, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ს. გერაშჩენკო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ნ. რომანოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრები ლ. თ. ილიჩოვი, ს. პ. კოზირევი, მ. ა. კოსტილევი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ა. ა. სურკოვი, საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის გენერალური მდივანი ტ. ნ. ხრენიკოვი, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დირექტორი ნ. ვ. ციცინი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-მაიორი ი. ს. კოლესნიკოვი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები გ. ნ. ზარუბინი, მ. ა. მეწშიკოვი, გ. მ. პუშკინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი თანამშრომლები ნ. პ. ციგიჩკო და ე. ა. ტარაბრინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, მოსკოვის კრემლის კომენდანტი გენერალ-ლეიტენანტი ა. ი. ვედენინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, წარმოების ნოვატორები, მეცნიერების, კულტურის მოღვაწენი, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

დარბაზობაზე სტუმართა შორის იყვნენ საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები: ბირმის კავშირისა — მონგ ონი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა — ლიმ ხე, ინდოეთის რესპუბლიკისა — კ. პ. შ. მენონი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისა — ი. ვოშაგლიკი, არგენტინისა — ლ. ბრავო, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა — დ. ადიღიშინი, ავსტრიისა — ნ. ბიშოფი, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკისა — მ. პრიფტი, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკისა — დ. ვიდიჩი, მექსიკისა — ა. როზენცვეიგ დიასი, ინდონეზიის რესპუბლიკისა — სუბანდრიო, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა — ლიუ სიაო, ისრაელის სახელმწიფოსი — ი. ავიდარი, ფინეთისა — ე. ა. ვუორი; საგანგებო დესპანები და სრულუფლებიანი მინისტრები: ეთიოპიისა — გ. ზალაკა, სირიისა — ფ. ჰანი, ლიბანისა — ა. ნაჟარი; დროებითი საქმეთა რწმუნებულები: ირანისა — ა. ეთესამი, ეგვიპტისა — ნ. ა. ჰ. კედრი, ავღანეთისა — ა. კაიუმი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა — კ. ზეიცი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა — კ. ნ. ცარვულანოვი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა — შ. დუკუ, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა — ი. კოვაჩი, შვეიცარიისა — ლ. პეტრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა — ი. ბანაკი, საფრანგეთის საელჩოსაგან — მრჩეველი ფ. დე ლიანკური.

დარბაზობაზე იყვნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობის მომხრეთა დელეგაციის წევრები — მშვიდობის მსოფლიო ასამბლეის მონაწილეები ვიეტნამის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ლე დინ ტამის მეთაურობით.

დარბაზობაზე იყვნენ სირიის პარლამენტის დელეგაციის წევრები დეპუტატთა პალატის ვიცე-თავმჯდომარის რაფიკ ბაშურის მეთაურობით.

დარბაზობის დროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხო ში მინმა ერთმანეთს სიტყვებით მიმართეს.

დარბაზობამ გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა.

* * *

დარბაზობის დროს გაიმართა დიდი კონცერტი. (საკდესი).

საბჭოთა მთავრობის დელეგაციის პრეს-კონფერენცია კრემლში

15 ივლისს კრემლში გაიმართა პრეს-კონფერენცია საბჭოთა მთავრობის დელეგაციისა, რომელიც ჟენევაში მიემგზავრება ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირზე. პრეს-კონფერენციას დაესწრო საბჭოთა და უცხოეთის პრესის მრავალი წარმომადგენელი.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ნ. ა. ბულგანინმა პრესის წარმომადგენლებს გაუკეთა მთავრობის დელეგაციის განცხადება ჟენევაში გამგზავრების წინ.

პრეს-კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ნ. ს. ხრუშჩოვმა, ვ. მ. მოლოტოვმა, გ. კ. ჟუკოვმა, ა. ა. გრომიკომ.

ქვემოთ მოყვანილია საბჭოთა მთავრობის დელეგაციის განცხადების ტექსტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციის განცხადება პრესის წარმომადგენლებისადმი ჟენევაში გამგზავრების წინ

საბჭოთა მთავრობის დელეგაცია ჟენევაში მიემგზავრება იმისათვის, რომ გულახდილად განიხილოს სხვა დიდ სახელმწიფოებთან უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო საკითხები, გამონახოს საერთო ენა, ერთობლივი ღონისძიებებით მიაღწიოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და სახელმწიფოთა ურთიერთობაში ნდობის განმტკიცებას.

ყველა ხალხის უაღრესად მხურვალე მისწრაფებაა მშვიდობისადმი მისწრაფება. ეს გასაგებიც არის. პირველმა და მეორე მსოფლიო ომებმა კაცობრიობას აუტანელი მსხვერპლი მოუტანეს. ამჟამად „ცივი ომის“ პოლიტიკა, გაბერილი სამხედრო ბიუჯეტები და გამალებული შეიარაღება ხალხთა მასებს უდიდეს ტვირთს აკისრებენ, წარმოშობენ შეშფოთებასა და შიშს მომავლისათვის. ადამიანებს თავისუფლად სუნთქვა მხოლოდ მაშინ შეუძლიათ, როცა ისინი დარწმუნებული არიან ხვალინდელ დღეში და მტკიცედ იციან, რომ მათ და მათს შვილებს არ მოელით ომის საშინელი უბედურება, რომ მათ შეუძლიათ მშვიდად იცხოვრონ და იმუშაონ.

დასავლეთში ხშირად ლაპარაკობენ საფრთხეზე, რომელიც თითქოს საბჭოთა კავშირის მხრიდან მოდის. ამ საბაბით აკონწრებენ სამხედრო ბლოკებს, ქმნიან სამხედრო ბაზებს ჩვენი ქვეყნის გარშემო. ჩვენ არასოდეს არ ვაპირებდით და არ ვაპირებთ თავს დავესხათ ვინმეს — ეს ეწინააღმდეგება ჩვენს პრინციპებს, ჩვენს უცვლელ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას. მაგრამ, რაკი ვხედავთ სხვა სახელმწიფოების სამხედრო მზადებას, ჩვენ, ბუნებრივია, არ შეგვიძლია არ მივიღოთ ღონისძიებანი ჩვენი ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფისათვის. ჩვენ გვყავს არმია და, ჩვენი შეხედულებით, ძლიერ კარგი არმია, მთელი საჭირო ტექნიკით.

მაგრამ ჩვენ არ გვსურდა და არც ახლა გვსურს ომი და ჩვენს წმიდა მოვალეობად მიგვაჩნია ვიხმაროთ ყოველი ღონისძიება, რათა ახლანდელი დაძაბულობის ნაცვლად საერთაშორისო ურთიერთობაში დამყარდეს ნდობის, ურთიერთგაგებისა და საქმიანი თანამშრომლობის ვითარება. ეს შესაძლებლობას მისცემდა სახელმწიფოებს ის უდიდესი სახსრები, რომლებიც ახლა შეიარაღებისათვის იხარჯება, გამოეყენებინათ ხალხთა კეთილდღეობისათვის — ბინების, სკოლების, ქარხნების, ფაბრიკების, ელექტროსადგურების მშენებლობისათვის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის.

მშვიდობის საქმის დიდი გამარჯვება იქნებოდა კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა ევროპაში სხვა სახელმწიფოთა მონაწილეობითაც. ჩვენი ორმა რწმენით, ის რეალური საქმეა: ევროპის ხალხებს შეუძლიათ იცხოვრონ მშვიდობით და მეგობრობით ისე, რომ არ განიცდიდნენ შიშს ერთმანეთის წინაშე.

ზოგჯერ გვიხდება იმის მოსმენა, რომ საერთაშორისო ცხოვრების სადავო საკითხების მშვიდობიან გადაჭრას ხელს უშლის ამა თუ იმ ქვეყნების საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების განსხვავება. მაგრამ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება ხომ ყოველი ქვეყნის ხალხის საშინაო საქმეა. ბევრ უცხოელ მოღვაწეს შეუძლია ბევრი რამ არ მოსწონდეს ჩვენს წყობილებაში, სწორედ ისევე, როგორც ჩვენ შეიძლება ბევრი რამ მათი არ მოგვწონდეს. მაგრამ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების განსხვავება რად უნდა უშლიდეს ხელს ხალხებს ცხოვრობდნენ მშვიდობიანად, პატივისცემით ეპყრობოდნენ ერთმანეთს, ურთიერთსარგებლობისათვის ავითარებდნენ ვაჭრობასა და კულტურულ ურთიერთობას?

ზოგს მიაჩნია, რომ კაპიტალიზმი სჯობს სოციალიზმს. ჩვენ კი დარწმუნებული ვართ, რომ სოციალიზმი სჯობს კაპიტალიზმს. ამ დავის გადაწყვეტა არ შეიძლება ძალით, ომის საშუალებით. დაე თვითეულმა ამტკიცოს თავისი სიმართლე მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში.

მსოფლიოში ბევრი გადაუჭრელი, სადავო საკითხია. ეს საკითხები კეთილად იქნება. ასეთია ცხოვრება. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია მოთმინებით და ლოიალურად განვიხილოთ და კიდევაც უნდა განვიხილოთ ეს საკითხები მრგვალ მაგიდასთან, გამოვნახოთ მათი მშვიდობიანი გადაჭრა. ამბობენ, რომ თუნდაც ცუდი მშვიდობა სჯობს კარგ ჩხუბს. ხოლო თუ ყოველ ღონისძიებას ვიხმართ და მივაღწევთ არა ცუდ, არამედ კარგ, ნამდვილ მშვიდობას, მაშინ მილიონობით ადამიანი ყველა ქვეყანაში შვებით ამოისუნთქავს. ისინი გადარჩებიან შიშს ახალი ომის საფრთხის წინაშე, შეძლებენ მშვიდად და რწმენით იცხოვრონ და იშრომონ, და ეს სიმშვიდე და რწმენა მტკიცე ხვედრი იქნება არა მარტო ჩვენთაობისა, არამედ მომავალი თაობებისაც.

აი სწორედ ამისათვის მივდივართ ჩვენ ჟენევაში.

გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამ თათბირზე ჩვენ შეეძლებთ გადაეჭრათ ყველა რთული საერთაშორისო პრობლემა. მაგრამ, თუ თათბირის ყველა მონაწილე გამოიჩენს კეთილ ნებას, გულწრფელად შეეცდება მიაღწიოს შეთანხმებას, ჩვენ, უეჭველად, შევძლებთ გამოვნახოთ საერთო ენა, დავსახოთ რეალური გზები იმ უმნიშვნელოვანესი საკითხების ქმედითი გადაჭრისათვის, რომლებზეც დამოკიდებულია ხალხთა მშვიდობა და კეთილდღეობა.

უეჭველია, რომ იმ კეთილშობილური მიზნების მიღწევა, რომლებიც დასახულია თათბირის წინაშე, დიდ ღონისძიებებს მოითხოვს. საბჭოთა დელეგაცია აცხადებს, რომ იგი თავის მხრივ მიიღებს ასეთ ღონისძიებებს. იმედი გვაქვს, რომ ასევე მოიქცევიან თათბირის სხვა მონაწილენიც.

წერილების გაცვლა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს დ. ეიზენჰაუერს შორის შეერთებული შტატების ეროვნული დღესასწაულის გამო

ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული დღესასწაულის — დამოუკიდებლობის დღის გამო — 3 ივლისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა ბ-ნ დ. ეიზენჰაუერს შემდეგი წერილი გაუგზავნა:

მისი აღმატებულებას
ბატონ დუაიტ დ. ეიზენჰაუერს,
ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს

ვაშინგტონი

გთხოვთ, ბატონო პრეზიდენტო, მიიღოთ ჩემი მოლოცვა, აგრეთვე გადასცეთ ჩემი მოლოცვა და საუკეთესო სურვილები ამერიკელ ხალხს ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული დღესასწაულის — დამოუკიდებლობის დღის გამო.

კ. ვოროშილოვი,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

14 ივლისს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დ. ეიზენჰაუერმა კ. ე. ვოროშილოვს შემდეგი საპასუხო წერილი გამოუგზავნა:

ვაშინგტონიდან
1955 წლის 14 ივლისი.

მისი აღმატებულებას
კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვს,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარეს

მოსკოვი

გამოვთქვამთ მადლობას თქვენი აღმატებულების წერილისათვის ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული დღესასწაულის გამო.

დუაიტ დ. ეიზენჰაუერი.

დარბაზობა საფრანგეთის საელჩოში

14 ივლისს საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში ლუი ჟოქმა დარბაზობა გამართა ეროვნული დღესასწაულის გამო.

დარბაზობაზე იყვნენ: ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ვ. მ. მოლოტოვი, ა. ი. მიქოიანი, მ. გ. პერვუხინი, ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე დ. ტ. შეპილოვი, სსრ კავშირის მინისტრები ი. გ. კაბანოვი, ნ. ა. მიხაილოვი, საბჭოთა კავშირის მარშლები ი. ქ. ბაგრამიანი, ს. ს. ბირიუზოვი, ვ. დ. სოკოლოვსკი, საკადესის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ნ. გ. პალგუნოვი, გაზეთ „იზვესტიის“ მთავარი რედაქტორი კ. ა. გუბინი, სსრ კავშირის მინისტრების მოადგილეები ვ. ა. ზორინი, ს. ვ. კაფტანოვი, ვ. ს. კემენოვი, ვ. ნ. სურინი, ნ. ე. ტვერდოხლებოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე ნ. ა. ზახაროვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ნ. რომანოვი, აკადემიკოსი ა. ი. ოპარინი, არმიის გენერალი გ. კ. მალანდინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრები ლ. თ. ილიჩოვი, ს. პ. კოზირევი, ს. კ. ცარაპკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის 1-ლი განყოფილების გამგე ა. ა. არუთინიანი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-მაიორი ი. ს. კოლესნიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების პასუხისმგებელი თანამშრომლები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

დარბაზობაზე იყვნენ აგრეთვე დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, რომლებიც აკრედიტებული არიან სსრ კავშირში, საელჩოებისა და მისიების თანამშრომლები. (საკდესი).

ახალ წარმატებათა მოპოვებით ვუპასუხოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებებს

★ ★ ★ ★

აბრეშუმის მქსოველთა მიტინგი

მხურვალე პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს გუშინ თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მიტინგზე ამავე ფაბრიკის მოწინავე ადამიანთა წარმომადგენლებმა მქსელავმა ლ. ოპაროვამ, საქსოვი საამქროს ქვეოსტატმა დ. ალიბეგაშვილმა, მქსოველმა მ. ფსუტერმა, საწყობის მუშამ რ. ლაფანაშვილმა და მექანიკური საამქროს კოლექტივის წარმომადგენელმა ი. ერაძემ.

მიტინგი მოწვეული იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის მუშაობის შედეგების გასაცნობად, რაზეც საინფორმაციო მოხსენებით გამოვიდა ფაბრიკის დირექტორი მ. საკანდელიძე. მოხსენების შემდეგ მიტინგზე გამოსული ორატორები ფაბრიკის მთელი კოლექტივის სახელით მიესალმებოდნენ პლენუმის დადგენილებებს პარტიის XX ყრილობის მოწვევისა და მრეწველობის შემდგომი აღმავლობის, ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების ამოცანების შესახებ.

ფაბრიკის მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების წარმომადგენელმა ორატორებმა ცალკე საამქროთა კოლექტივების სახელით იკისრეს ახალი გადიდებული საწარმოო ვალდებულებების შესრულება.

— ყრილობის მოწვევის აღსანიშნავად ვიმუშაოთ მხოლოდ პირველტარისხოვანი პროდუქციის გამოშვებაზე. უზრუნველყოთ გამოშუშავების ნორმების სისტემატური გადაჭარბებით შესრულება, მთელი შემოქმედებითი ძალები მოვახმაროთ წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებას, ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლის საქმეს და მივაღწიოთ რიტმულ მუშაობას!

დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი

მოსკოვის ქარხანა „სერპ ი მოლოტის“ მეტალურგები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას „მრეწველობის შემდგომი აღმავლობის, ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების ამოცანების შესახებ“.

14 ივლისს დილით სორტსაგლინავი, ფასონ-სამსხმელო და სხვა საამქროების ღამის ცვლის ბევრმა მუშამ მოისმინა რადიოთი გადაცემული დადგენილების ტექსტი, მეფოლადეები და მგლინავები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტს.

— პარტიის ცენტრალური კომიტეტი, — თქვა სტალინური პრემიის ლაურეატმა, მეფოლადე ნ. ჩესნოკოვმა, — გვიჩვენებს მრეწველობის შემდგომი განვითარების გზებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ბევრი რამ გვეხება ჩვენ, მეტალურგებს. დადგენილებაში, კერძოდ, ნათქვამია, რომ ფოლადდნობის წარმოებაში უნდა დაინერგოს ჟანგბადი. ჩვენმა ქარხანამ საბჭოთა კავშირში პირველმა დაიწყო ჟანგბადის გამოყენება ფოლადის დნობის დასაჩქარებლად. მაგრამ ახლა ჩვენ მოლიანად ვერ ვიყენებთ შრომის ნაყოფიერების ზრდის ამ რეზერვს. ხშირად მეფოლადეები კრძო ტონა ლითონის გამოსადნობად გაცილებით ნაკლებ ჟანგბადს იღებენ, ვიდრე გეგმით აჩის გათვალისწინებული. დავალება, მართალია, სრულდება, მაგრამ ფოლადდნობელები ხომ ნაკლებ ლითონს იძლევიან, ვიდრე მათ შეუძლიათ გამოუშვან იმავე ღუმელებით.

მარტენის საამქროს წითელ კუთხეში შესვენების დროს შეიკრიბა დღის ცვლის კოლექტივი. მარტენელებმა ყურადღებით მოისმინეს პარტიიუროს მდივნის ა. კორნეევის საუბარი.

— ფოლადმდნობელებმა ცუდად როდი ამშავეს წლის პირველ ნახევარში, — თქვა ამბ. კორნეევმა, — მათ გეგმის გადამეტებით გამოუშვეს რამდენიმე ათასი ტონა ფოლადი. ივლისშიც წარმატებით მიმდინარეობს მუშაობა. თვითეული ღუმელი დღეღამეში საშუალოდ ათი ტონით მეტ ლითონს იძლევა, ვიდრე წლის პირველ ნახევარში. მაგრამ კოლექტივი მიღწეულს ვერ დასჯერდება. ახლა მარტენის ღუმელზე, სადაც მუშაობენ ამხანაგები რიაბოვი, ჩესნოკოვი და მიხაილოვი, დადგმულია კომპლექსური ავტომატიკა. ყველა ფოლადმდნობელმა უნდა აითვისოს იგი, რათა უახლოეს თვეში შესაძლებელი გახდეს, რომ ავტომატიკა შემოიღონ საამქროს სხვა ღუმელებზეც.

14 ივლისს ფურცელსაგლინავ, ფასონსამსხმელო და ქარხნის სხვა საამქროებში აგიტატორებმა მოაწყეს საუბრები და განმარტავდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ მიღებულ დადგენილებათა მნიშვნელობას.

— შეეასრულოთ პლენუმის დადგენილება. მეტი ფოლადი და ნაგლინი მივცეთ სამშობლოს — ასეთია მეტალურგთა ერთსულოვანი გადწყვეტილება. (საკდესი).

შრომითი აღმავლობა

მცხეთა. (სპეც. კორ.). რაიონის საწარმო დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში აგიტატორები ატარებენ სუბბოტნიკს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადწყვეტილებათა შესახებ.

შესვენების დროს სოფელ საგურამოს კოლმეურნეობის მემინდვრეობის პირველი ბრიგადის ხელმძღვანელმა ვ. ბიჩინაშვილმა კოლმეურნეებს გააცნო პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილება.

პლენუმის დადგენილების გაცნობისას კოლმეურნეობის აგრონომმა თ. ყველაშვილმა განაცხადა:

— პლენუმის დადგენილებას ჩვენ ახალი შრომითი საქმეებით ვუპასუხებთ. კოლმეურნეობამ ვადაზე 5 თვით ადრე შეასრულა ხორცის, კვერცხის, რძის სახელმწიფო დამზადების წლიური გეგმები. კოლმეურნეობა სახელით პირობას ვიძლევით წლიური გეგმის გადამეტებით თვითეულ სფურაეე ძროხაზე მივიღოთ 200 ლიტრი რძე, თავთავიანი კულტურების აღება დავამთავროთ 10 სამუშაო დღეში და სახელმწიფოს ჩავაბაროთ პირველი განალეული პური.

ის რგოლი, რომელსაც ე. უნდილაშვილი ხელმძღვანელობს, კარგად უვლის საკვებ ძირხვეენებს, სიმინდის ნათესებს. მან პარტიის მოწოდების პასუხად განაცხადა:

— რგოლის სახელით ვალდებულებას ვკისრულობ აგროწესების ზუსტად განხორციელების შედეგად თვითეულ ჰექტარზე მივიღოთ 35 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად 18 ცენტნერისა, ყოველ ჰექტარზე მოვიყვანოთ 250 ცენტნერი საკვები ჭარხალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

მასების აქტივობის ზრდის უმნიშვნელოვანესი პირობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ ნძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარების ბაზაზე სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის პროგრამა დასახა. პარტიული ორგანიზაციებისათვის არ არსებობს უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე ამ პროგრამის პროპაგანდა და მისი წარმატებით განხორციელება.

ქუთაისის რაიონის პარტიული ორგანიზაცია ნაყოფიერ მუშაობას ეწევა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობისათვის. პარტიის რაიკომი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობას, რადგან იქ, სადაც ეს მუშაობა ჯეროვან სიმაღლეზეა დაყენებული, სამეურნეო წარმატებანიც თვალსაჩინოა. რაიონის კოლმეურნეობებში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის უნარიანად მოწყობამ დიდად შეუწყო ხელი ნასების აქტივობის ზრდას, საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროულად შესრულებას.

საგიტაციო-მასობრივი მუშაობა კიდევ უფრო გაძლიერდა ნათესების დამუშავების დღეებში. ახლა რაიონის კოლმეურნეობებში 500-მდე აგიტატორი დამაჯერებლად განუმარტავს მშრომელებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, რაზმავს მათ ახალი შრომითი წარმატებებისათვის საბრძოლველად.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა რაიონის კოლმეურნეობებში ამჟამად მიმართულია იქითკენ, რომ უზრუნველყოთ ნათესების დროულად და მაღალხარისხოვან დამუშავება და სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმატებით შესრულება. პატრიკეთის კოლმეურნეობაში თავის დროზე გამარგლეს და გათოხნეს სიმინდის მთელი ნათესი ფართობი. ნათესებს კარგი პირი უჩანს, და კოლმეურნეები უხვ მოსავალს მოელიან. ნათესების მოვლა-დამუშავებაში განსაკუთრებით დაწინაურდა მემინდვრეობის პირველი ბრიგადა (ბრიგადირი ი. კაკუშაძე), რომელსაც მოსავლელად მიჩენილი აქვს 86 ჰექტარი სიმინდი. ბრიგადის წევრები ვ. მაჩალაძე, ბ. გოდუაძე, ა. ბერაძე და სხვები ნაყოფიერად მუშაობენ. ბრიგადის წარმატებას დიდად შეუწყო ხელი იმან, რომ იქ კარგად არის მოწყობილი საგიტაციო მუშაობა.

ნათესებს მაღალხარისხოვნად უვლიან აგრეთვე კოლმეურნეობის ის ბრიგადები, რომლებსაც გ. ვაჩიბერაძე, გ. მელაძე, ს. ნარჩემაშვილი ხელმძღვანელობენ.

კოლმეურნეობაში სერიოზული ყურადღება ექცევა აგრეთვე ბოსტნეული კულტურების მოვლა-დამუშავებას. წელს აქ ბოსტნეული კულტურები დათესილია 80 ჰექტარზე, აქედან პამიდორი—37, კომბოსტო—20, ხოლო სხვადასხვა ბოსტნეული კულტურები — 23 ჰექტარზე. ბოსტნეულ კულტურებს მზრუნველობით უვლის მეორე ბრიგადა, რომელსაც ნათესებში დროზე შეაქვს მინერალური და ორგანული სასუქები. ბრიგადის წევრთა შორის აღსანიშნავია კომუნისტების გ. ადამაძისა და ვ. მესხის მაღალნაყოფიერი შრომა.

საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია ზრუნავს მებოსტნეობის განვითარებისათვის. მოწინავე მებოსტნეთა შორის ბევრია კომუნისტი. წელს პარტიულმა ორგანიზაციამ მებოსტნეობის მეოთხე ბრიგადაში, რომელსაც გ. კოჩიკარი ხელმძღვანელობს, სამუშაოდ 10 კომუნისტი გადაიყვანა. ამის შედეგად წინათ ჩამორჩენილი ბრიგადა მოწინავეთა რიგებში ჩადგა.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის უკეთ წარმართვაში პარტიულ ორგანიზაციას დიდ დახმარებას უწევენ საკოლმეურნეო ბრიგადებსა და მეცხოველეობის ფერმებში შექმნილი პარტიული ჯგუფები. პირველი ბრიგადის პარტიული ჯგუფი შეუნელებლად ზრუნავს კოლმეურნეთა პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლებისათვის. პარტჯგუფორგანიზატორის მ. გოდუაძის ენერგიული მუშაობის შედეგია, რომ ბრიგადის ყველა წევრი კარგად ერკვევა პარტიის მიერ დასახულ ამოცანებში, თავდადებით მუშაობს ამ ამოცანების პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

გეგუთის კოლმეურნეობა „წინსვლაში“ წინათ სათანადო ყურადღება არ ექცეოდა პარტიული კრებების მიერ მიღებულ დადგენილებათა შესრულებას და შესრულების შემოწმებას, ამის გამო კომუნისტები ნაკლებ პასუხისმგებლობას გრძნობდნენ, ხოლო დადგენილებები ხშირად შეუსრულებელი რჩებოდა. მას შემდეგ, რაც ეს საკითხი შეისწავლა პარტიის რაიონული კომიტეტის მბიურომ და სათანადო ღონისძიებანი განხორციელა, გეგუთის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციაში მდგომარეობა გამოსწორდა. ახლა აქ ყოველდღიურად ზრუნავენ მიღებულ დადგენილებათა შესრულებისათვის, ამოწმებენ შესრულების მიმდინარეობას და ქმედით ზომებს იღებენ იმათ მიმართ, ვინც პარტიული ჯრების დადგენილებას არ ასრულებს.

გეგუთელი კოლმეურნეები წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული არიან ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესის კოლმეურნეობის წევრებთან. პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად ამოწმებს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას. ამას წინათ ეს საკითხი განიხილა პარტიულმა კრებამ, რომელზეც კომუნისტებმა გამოამჟღავნეს ნაკლოვანებანი ნათესების მოვლა-პატრონობაში და მეცხოველეობის მუშაკთა საქმიანობაში. პარტიულმა კრებამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი და დააწესა ამ ღონისძიებათა შესრულების ვადები. დადგენილების განხორციელებისათვის ბრძოლაში ჩაება ყველა კომუნისტი, კომკავშირელი, კოლმეურნე. ამის შედეგად ახლა კოლმეურნეობაში აგროწესების ზუსტი დაცვით მიმდინარეობს ნათესების მოვლა-დამუშავება. კოლმეურნეები კარგად უვლიან 580 ჰექტარ სიმინდისა და 80 ჰექტარ ბოსტნეულის ნათესებს.

კოლმეურნეობაში კარგად მუშაობენ აგიტატორები. მათი დიდი უმრავლესობა კომუნისტები და კომკავშირელებია. ბევრი მათგანი, როგორც, მაგალითად, ლ. ღოღობერიძე, ვ. ბოდოკია, რ. კილაძე, ა. გრიგოლაშვილი და სხვები, საინტერესო, ცოცხალ, დამაჯერებელ საუბარს მართავს კოლმეურნეებთან.

ოფშკვითის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია მნიშვნელოვან პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობას ეწევა. საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციამ მეცხოველეობის ფერმებში, მემინდვრეობის ბრიგადებსა და რგოლებში სწორად გაანაწილა კომუნისტები, შექმნა პარტიული ჯგუფები, რამაც ხელი შეუწყო პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესებას, მიღებულ დადგენილებათა შესრულებას.

პარტიული ორგანიზაცია კომუნისტთა კრებებსა და ბიუროს სხდომებზე სისტემატურად განიხილავს ნათესების მოვლა-დამუშავების საკითხს. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სოფლის მოსახლეობის კულტურული მომსახურება, სისტემატურად იმართება ლექციები და მოხსენებები, კინოსეანსები, მხატვრული ბრიგადების გამოსვლები, საღამო-წარმოდგენები.

ნათესების მოვლა-დამუშავების დღეებში ენერგიულად მუშაობენ აგრეთვე ზედა მესხეთის კოლმეურნეობა „25 ოქტომბრის“ და კვახჭირის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

წელს უკეთესად მუშაობს მტს-ის პარტიული ორგანიზაციაც. პარტიულმა ორგანიზაციამ გამოარკვია, რომ მტს-ის ზონის აგრონომები ნაკლებად ეხმარებოდნენ კოლმეურნეობებს. პარტიის რაიკომის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ახლა მდგომარეობა გამოსწორებულია. მექანიზატორებს შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა გაძლიერდა.

მიუხედავად ამისა, რაიონის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს თავიანთ მუშაობაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი აქვთ. ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია და მისი მდივანი ნაკლებ ყურადღებას აქცევს კოლმეურნეობაში პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას. მაგალითად, კიროვის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია სუსტად ეხმარება არტელის გამგეობას შრომის ორგანიზაციის განმტკიცებაში, არადამაკმაყოფილებლად ზრუნავს კოლმეურნეთა პოლიტიკური აღზრდისათვის, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებისათვის. მესამე ბრიგადაში კოლმეურნეები არღვევენ შრომის დისციპლინას, არ ასრულებენ შრომადღეების სავალდებულო მინიმუმს. შარმან ბრიგადამ საშუალოდ ჰექტარზე 5,5 ცენტნერი სიმინდი მიიღო. ასეთი ცუდი შედეგები, რა თქმა უნდა, არ იქნებოდა, პარტიულ ორგანიზაციას მეტი პასუხისმგებლობით რომ ემუშავნა.

ასეთივე ნაკლოვანებებით ხასიათდება ნახშირელის, ბარდუბნის, დერჩის კოლმეურნეობათა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობა.

პარტიის ქუთაისის რაიკომის ბიურომ რამდენჯერმე განიხილა საგიტაციო-მასობრივი მუშაობის საკითხი. რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ მოაწყო ზონალური თათბირები, რომელზეც ესწრებოდნენ პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები, აგიტატორები, წამკითხველ-მესაუბრეები. თათბირებზე განიხილეს საკითხი პარტიული პროპაგანდისა და საგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ. ამავე საკითხს მიეძღვნა აგრეთვე კედლის გაზეთების რედაქტორების, სარედაქციო კოლეგიების წევრთა და სოფლკორების თათბირი-სემინარი.

პარტიის ქუთაისის რაიკომი უკანასკნელ ხანებში მეტ ყურადღებას აქცევს ექსკურსიურ პროპაგანდას. რაიონის კოლმეურნეობებში სისტემატურად იმართება ლექციები და მოხსენებები, გაუმჯობესდა მათი ხარისხი. მიუხედავად ამისა, ამ საქმეში ყველაფერი რიგზე არ არის. რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების ლექტორთა ჯგუფის და პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების რაიონული განყოფილების ხაზით არასაკმაო რაოდენობით იკითხება ლექციები სოფლის მეურნეობის საკითხებზე. რაიონის პარტიული ორგანიზაცია გააძლიერებს ბრძოლას ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და შემდგომ გააუმჯობესებს პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას.

ამჟამად ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა ფართოდ მოვაწყოთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა, დავრაზმოთ მასები ამ გადაწყვეტილებები დასახული ამოცანების პრაქტიკულად განსახორციელებლად — ნათესების მოვლის, მოსავლის აღებისა და 1955 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქტთა დამზადების გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად.

ა. ჩიქოვანი,
საქართველოს კპ ქუთაისის რაიკომის მდივანი.

სამტრედიის რაიონში

ახალი მტს-ის მშენებლობა

ქალაქიდან ორი კილომეტრის დაშორებით დაიწყო ახალი მტს-ის მშენებლობა. მტს-ს, რომელიც ტიპური პროექტის მიხედვით შენდება, ექნება ორსართულიანი ადმინისტრაციული სახლი, სახელოსნო, იარაღ-მანქანების შესანახავი ფარდულები, გარაჟი, საცხოვრებელი სახლები და სხვა ნაგებობანი, აგრეთვე ელექტროდენის გადამცემი საკუთარი ქვესადგური. მშენებლობა მომავალ წელს დამთავრდება.

პარკის კეთილმოწყობა

წელს მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდება ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკის კეთილმოწყობისათვის. პარკის ტერიტორიაზე შეკეთდა სასეირნო გზები, დაიდგა სკამები, მოეწყო ტირი, საცეკვაო მოედანი, პავილიონები. კაპიტალურად შეკეთდა საზაფხულო ესტრადა, სადაც უკვე იმართება კონცერტები.

საკოლმეურნეო კანტორები

კიკვიძის სახელობისა და სოფელ ნაფაღაურის ლენინის სახელობის კოლმეურნეობებში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს კანტორებისათვის ახალი კაპიტალური შენობების აგება. კანტორებში მოთავსდება კოლმეურნეობათა გამგეობა, ბუხჰალტერია და სხვ. აქვე იქნება სასხლომი დარბაზები.

კულტურის სახლის რეკონსტრუქცია

დაიწყო კულტურის სახლის შენობის რეკონსტრუქცია, რის შემდეგ სახლს ექნება მაყურებელთა 800-ადგილიანი დარბაზი, მოძრავი სცენა, კეთილმოწყობილი ფოიე და ოთახები საწრეო მუშაობისათვის. კულტურის სახლის წინ მოეწყობა ლამაზი სკვერი.

საცხოვრებელი სახლის მშენებლობა

ქალაქის ცენტრში — ლენინის ქუჩაზე დაიწყო აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის მუშამოსამსახურეთათვის 21-ბინიანი სამსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. ეს ერთ-ერთი ლამაზი ნაგებობა იქნება მთელ ქალაქში.

ვ. კოკალეიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

რკინიგზელის საკავშირო დღის აღსანიშნავად

შემოქმედებითი შრომის ძალა

მეცხრე სალიანდაგო დისტანცია ყველაზე ახალია ამერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალზე. ეს დისტანცია მომსახურებას უწევს რკინიგზის ხაზის შეტად რთული პროფილის უბანს, სადაც მელიანდაგეებს მრავალი სხვადასხვა გაუთვალისწინებელი შეფერხების გადალახვა უხდებათ.

ლიანდაგის გამართულ ტექნიკურ მდგომარეობაში ყოფნა მატარებელთა მოძრაობის უსაშიშროების საწინდარია. ლიანდაგის გამართულობა კი დამოკიდებულია მის დროულად შეკეთებაზე, რისთვისაც უმთავრესად საჭიროა ბალასტი. დისტანციის მელიანდაგეები ბალასტს იღებდნენ შედარებით შორს მდებარე კარიერიდან, რაც მუშაობას ართულებდა. საჭირო იყო სხვა უფრო მახლობელ ადგილს ახალი საბალასტო კარიერის მოწყობა.

ამ საკითხზე მოწვეულ საწარმოო თათბირზე დისტანციის უფროსმა დ. ჭურაძემ შემოიტანა წინადადება მეცხრე სალიანდაგო დისტანციისათვის მოწყობილიყო საკუთარი კარიერი უფრო ახლოს. ეს წინადადება ამერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობამ მოიწონა. ახალი კარიერის ბალასტი უკეთესი ხარისხისაა და უფრო იაფიც ჯდება. ახლა მელიანდაგეები სავსებით უზრუნველყოფილი არიან ადგილობრივი მაღალხარისხოვანი ბალასტით.

როგორც პირველი კვარტალის განმავლობაში მუშაობის შედეგების განხილვით აღმოჩნდა, მეცხრე სალიანდაგო დისტანციის კოლექტივი დიდ შეფერხებებს განიცდის იმით, რომ დროულად ვერ იღებს ლიანდაგის შესაკეთებელ დეტალებს. დისტანციის სახელოსნოს ხელმძღვანელმა ე. ჭყოიძემ წინადადება შეიტანა ეს დეტალები (რელსის დამჭერი, ჭანჭიკები, მოსახვევთა გასამაგრებლები და ა. შ.) აღგილობრივი ძალებით დაემზადებინათ. წინადადება მოწონებულ იქნა. დაკალება წარმატებით შესრულდა და დეტალების მიუღებლობით ლიანდაგის შეკეთების შეფერხება მეორე კვარტალში აღარ ყოფილა.

გაზაფხულზე ერთ-ერთ უბანზე აუცილებელი გახდა მდინარის ნაპირის გამაგრება. მდინარის ნაპირის გასამაგრებლად საჭირო იყო ქვის მოზიდვა. საწარმოო თათბირზე გადაწყვეტეს ჩამოეწერიათ კლდე და ჩამორგვეული ქვა გამოეყენებინათ მდინარის ნაპირის გაყოლებით ლიანდაგსაცავი ყორის გასაკეთებლად. ასეც მოიქცნენ, კლდის ჩამონგრევით ლაგოროვეს 5.600 კუბმეტრი საშენი ქვა და ლიანდაგსაცავი ყორის კედელი 3.663 გრძივ მეტრზე აგეს.

მასების კოლექტიური შემოქმედების ძალამ თავი იჩინა არა მარტო ლიანდაგის ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფაში, არამედ დისტანციის კოლექტივის მუშაობის ყველა მაჩვენებლის გაუმჯობესებაში. დისტანციის კოლექტივმა წარმატებით იმუშავა მაისსა და ივნისში. ივნისში ლიანდაგის საშუალო შეკეთების თვიური დავალება შესრულებულია 400 პროცენტით.

პ. გელაშვილი,
მეცხრე სალიანდაგო დისტანციის უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში.

გარდამავალი დროშა მოწინავე სადგურის კოლექტივს

მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივის მიმართვას ფართოდ გამოეხმაურა ხაშურის რკინიგზის სადგურის კოლექტივი, რომელმაც ახალი წარმატება მოიპოვა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. სადგურმა მაისში 128,7 პროცენტით შეასრულა ვაგონების დატვირთვის გეგმა, ხოლო გადმოტვირთვისა — 120,9 პროცენტით. შედეგნილ იქნა 91 მძიმე წონის მატარებელი. გეგმის გადამეტებით გადაზიდულია 27.894 ტონა ტვირთი.

აღნიშნული წარმატებებისათვის ხაშურის სადგურის კოლექტივი გამარჯვებული გამოვიდა სოციალისტურ შეჯიბრებაში ამერკავკასიის რკინიგზის სადგურებს შორის და მიეკუთვნა გზის გარდამავალი წითელი დროშა.

სადგურის მორიგეებმა გ. მჭედლიძემ, ვ. ეფუნეაძემ, შემდგენელმა ი. კაკიაშვილმა, უფროსმა მეისრემ ი. ჭურდაძემ და სხვებმა მიიღეს აგრეთვე გზის უფროსის მადლობა. (საკ კორ.).

სოციალისტური შეჯიბრების აღმავლობის გზაზე

პარტიამ და მთავრობამ მრეწველობის მუშაკებს გადაუდებელ ამოცანად დაუსახეს გაძლიერონ ბრძოლა შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის, მიაღწიონ ყველა საწარმოს რენტაბელურ მუშაობას.

ამ ამოცანების წარმატებით განხორციელება პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს სათავეში ჩაუდგნენ მასების საწარმოო და პოლიტიკურ აქტივობას, ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება და უნარიანად ხელმძღვანელონ მას, სისტემატურად იზრუნონ შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვისათვის.

ამ მხრივ კარგ მაგალითს იძლევა ბათუმის კოფეინის ქარხნის პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ლ. ელენინა). ქარხანაში სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია ყველა მუშა და ინჟინერ-ტექნიკოსი. სისტემატურად ეწყობა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება. შეჯიბრების შედეგებს განიხილავენ საერთო კრებებსა და საწარმოო თათბირებზე, მოწინავე მუშათა სახელები შეაქვთ საპატიო დაფაზე, მათ აჯილდოებენ ფულადი პრემიებით, გამარჯვებულ ცვლებსა და ბრიგადებს ეძლევათ გარდამავალი წითელი დროშა და სხვ. საამქროებში გამოკრულია მუშების, ცვლების, ბრიგადების საწარმოო მაჩვენებლები. აგიტატორები სისტემატურად აწყობენ საუბრებს შეჯიბრების მიმდინარეობაზე. ეწევიან მოწინავე გამოცდილების პროპაგანდას.

პარტიული ორგანიზაციის თაოსნობით ქარხანაში გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება პროფესიების მიხედვით, რაც ხელს უწყობს მოწყობილობის უკეთესად გამოყენებას და მაღალი საწარმო მაჩვენებლების მოპოვებას. შეჯიბრებაში საუკეთესო შედეგების მოპოვებისათვის საპატიო დაფაზე შეტანილია მეაპარატე ე. შარაშვილის, ლაბორატორიის მუშის ლ. ჩაიკას, ქიმიკოს ჩ. ჩიხლაძის, კრისტალიზატორ ა. ულიესკოვას, მ. ციგანოვის, ვ. ჩერკავსკაიას, ჩამწყობ ვ. მამფორიას, ხარატ ვ. ჩერკოვსკის და სხვათა სახელები.

სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში კომუნისტები არიან. კომუნისტები — კრისტალიზატორი ტ. აძინბა, მემანქანე-ცეცხლფარეში ნ. დოლაბერიძე, მტვირთავი მუშა პ. ოვანესოვი, ელექტრომონტიორი მ. ზაქარიაძე, ცვლის უფროსი მ. ჯორბენაძე და სხვები მაღალნაყოფიერად შრომობენ და ნაკისრ ვალდებულებებს მუდამ გადაჭარბებით ასრულებენ.

შრომის კომუნისტური მეთოდების უნარიანად გამოყენებით პარტიული ორგანიზაცია აღწევს ჩამორჩენილი უბნების დაწინაურებას და მოწინავეთა დონემდე აყვანას. გეგმის შესრულებაში ჩამორჩებოდა ე. გორდაძის ცვლა. პარტბიუროს და საქარხნო კომიტეტმა დირექციასთან ერთად ამ ცვლის ყველა მუშა ჩააბეს სოციალისტურ შეჯიბრებაში, ჩამოაყალიბეს ტექმინიმუმის შემსწავლელი წრეები მუშათა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მოაწყეს მოწინავე ცვლების მუშაობის გამოცდილების გავრცელება. ამ ღონისძიებათა შედეგად ე. გორდაძის ცვლამ თავი დაიღწია ჩამორჩენას და მტკიცედ ჩადგა მოწინავეთა რიგებში.

პარტიული ორგანიზაცია აქტიურად უჭერს მხარს ყოველივე ახალს, პროგრესულს. ამას წინათ პარტიული და სამეურნეო აქტივის კრებამ განიხილა და მოიწონა მოსკოვის სემაშკოს სახელობის ქიმიკურ-ფარმაცევტიული ქარხნის კოლექტივის თაოსნობა შრომის ნაყოფიერების ზრდის კომპლექსური ორგანიზაციული გეგმის დანერგვაში. ბათუმელმა მეკოფეინეებმა მოსკოველთა მაგალითისამებრ ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებათა მთელი კომპლექსი შეიმუშავეს. შრომის ნაყოფიერების გადიდების მიზნით ამჟამად ქარხანაში ხორციელდება მცირე მექანიზაცია, ფართოდდება საექსპერიმენტო მუშაობა, რომელშიც მასობრივად არიან ჩაბმულნი მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები, საქარხნო ლაბორატორიაში მოეწყო საექსპერიმენტო მაგიდა ეგრეთწოდებული „ვიწრო აღგილების“ აღმოსაფხვრელად. ნოვატორ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთაგან შეიქმნა კომპლექსური ბრიგადები, რომლებიც უკვე შეუდგნენ წარმოების ყველაზე აქტუალურ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა დამუშავებას.

ქარხანაში დიდი ყურადღება ექცევა გამომგონებლობასა და რაციონალიზაციას. ნოვატორ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა შემოქმედებითმა შრომამ წინ მიაყავს სამრეწველო მოწყობილობის ტექნიკური გაუმჯობესებისა და ტექნოლოგიური პროცესების შემდგომი სრულყოფის საქმე. ინჟინერმა ე. ბოჭორიშვილმა შექმნა ექსტრაქციული დანადგარის გამტარუნარიანობის საზომი ხელსაწყო, რომლის გამოყენებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ტექნოლოგიური პროცესი.

თეალბინის საამქრო ყველაზე ახალგაზრდა საამქროა ქარხანაში. პირველ ხანებში იქ ტექნოლოგიური რეჟიმი ირღვეოდა. ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსმა და ლაბორატორიის გამგემ ლ. ელენინამ ქიმიკოს ჩ. ჩიხლაძესთან ერთად დააზუსტა დალექვის ტექნოლოგია და მიაღწია ტექნოლოგიური პროცესის მკვეთრად გაუმჯობესებას, რითაც უზრუნველყოფილ იქნა მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება. ამავე საამქროში ინჟინერ-ტექნიკოსთა ჯგუფის წინადადებით მძლავრი საშრობის დადგმამ საგრძნობლად აამაღლა შრომის ნაყოფიერება. საწარმოო პროცესების მექანიზაციის განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ხარატ ვ. ჩერკავსკის რაციონალიზატორულმა წინადადებებმა. ტექნოლოგიური ციკლის შემცირებისა და სრულყოფისათვის ბევრი რამ გააკეთეს მედიფუზორემ ი. დიდენკულმა და მუშამ ი. ომაროვმა. ყველა ამ ღონისძიებათა განხორციელებით თეალბინის საამქროში გასულ წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება ერთიორად გაიზარდა.

სოციალისტური შეჯიბრების მასობრივობისა და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში, მოწინავე გამოცდილების პოპულარიზაციისა და წარმოებაში დანერგვის საქმეში პარტიული ორგანიზაცია კარგად იყენებს კედლის გაზეთს „საბჭოთა კოფეინისათვის“, რომლის რედაქტორია ქარხნის საგეგმო-საწარმოო განყოფილების უფროსი ბ. ნეკინსკი. გაზეთი გაბედულად აკრიტიკებს ჩამორჩენილებს, შრომის დისციპლინის დამრღვევებს, სისტემატურად აქვეყნებს მასალებს სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობაზე, წარჩინებულ ადამიანთა შრომითს მიღწევებზე, ეწევა მოწინავე გამოცდილების პროპაგანდას.

სოციალისტური შეჯიბრებისადმი უნარიანად ხელმძღვანელობამ უზრუნველყო კოლექტივის საერთო წარმატება. ამჟამად ყველა მუშა, ბრიგადა, ცვლა გეგმას გადაჭარბებით ასრულებს. შრომის ნაყოფიერება 1,1 პროცენტით გაიზარდა, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება 3,5 პროცენტით შემცირდა. ქარხანა რიტმულად და მაღალნაყოფიერად მუშაობს. მეკოფეინეებმა ხუთწლიანი გეგმა ვალდებულებით გათვალისწინებული 19 ივნისის ნაცვლად 23 მაისისათვის შეასრულეს.

ქარხნის კოლექტივი მზრუნველობით უვლის საწარმოო მოწყობილობას და ზრდის შეუკეთებლად მისი მუშაობის ხანგრძლივობას. მეკოფეინეებს გადაწყვეტილი აქვთ წელს იმუშაონ ისე, რომ ქარხანას არ დასჭირდეს კაპიტალური რემონტი, რომელიც გეგმით არის გათვალისწინებული. ამით სახელმწიფოს საგრძნობ თანხებს დაუზოგავენ და გეგმის გადამეტებით დიდძალ პროდუქციას გამოუშვებენ.

დ. პაიჭაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ავტომობილმშენებლებმა ნახევარი წლის გეგმა შეასრულეს

ქუთაისი. (საკ. კორ.). საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა წარმატებით დაამთავრა მიმდინარე წლის პირველი ნახევარი — საერთო და სასაქონლო პროდუქციის გეგმები გადაჭარბებით შეასრულა.

კარგი მაჩვენებლები აქვთ ავტომატების, რუხი თუჯის სამსხმელო, ძრავისა და ნთელ რიგ სხვა საამქროთა კოლექტივებს.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

რედაქციაში შემოსული იყო სტუდენტთა კოლექტიური წერილი, რომელშიც გვატყობინებდნენ ვაკის ახალ პარკში № 66 სასაუზმეში ფასების დამახინჯების შესახებ.

როგორც თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილების გამგე ამხ. ნ. ბაიდაშვილი გვატყობინებს, წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილებამ სასადილოების პირველი ტრესტის დირექტორს ამხ. თაკეელაშვილს დაავალა სრული წესრიგი დაამყაროს სასაუზმეში, ხოლო მომხმარებლის მოტყუებისათვის, მენიუს, ლიმონათის ფაქტურის და საჩივრის წიგნის უქონლობისათვის მებუფეტე ტომარაძე მოხსნას სამუშაოდან.

* * *

მკითხველები რედაქციას ატყობინებდნენ ამბროლაურის რაიონის სოფელ ედელეისკოლმეურნეობის თავმჯდომარის შ. გოცირიძის უკანონო მოქმედების შესახებ.

წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს კომპარტიის ამბროლაურის რაიონულ კომიტეტს. შემოწმების შედეგები განხილა რაიკომის ბიურომ. სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევისა და კოლმეურნეობის ფულადი თანხებისა და პროდუქტების ბუხჰალტერიის გვერდის ავლით დახარჯვისათვის შ. გოცირიძეს დაედო მკაცრი პარტიული სასჯელი, კოლმეურნეობის ბუხჰალტერი ჯ. ყიფიანი მოიხსნა სამუშაოდან. რაიკომის ბიურომ შეიმუშავა ღონისძიებანი კოლმეურნეობის საქმიანობაში დამახინჯებათა ლიკვიდაციისათვის.

* * *

წალენჯიხის რაიონის სოფელ ჭალის საშუალო სკოლაში უხეშად დაარღვიეს საგამოცდო ინსტრუქცია — წერდა რედაქციას სოფლკორი.

როგორც წალენჯიხის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ი. ზარანდია გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. შემოწმების შედეგები განხილა საქართველოს კპ წალენჯიხის რაიკომის ბიურომ. სკოლის დირექტორი ლ. არქანია საგამოცდო ინსტრუქციის დამახინჯებისათვის მოხსნა თანამდებობიდან და დაადო პარტიული სასჯელი.

რესპუბლიკური პარტიული სკოლის კურსდამთავრებულთა გამოშვება

გუშინ შედგა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სამწლიანი პარტიული სკოლის კურსდამთავრებულთა გამოშვებისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

მოხსენება პარტიული სკოლის კურსდამთავრებულთა გამოშვების შესახებ გააკეთა სკოლის დირექტორმა დოცენტმა ს. ლარცულიანმა. მან აღნიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული რესპუბლიკური პარტიული სკოლა დაამთავრა 142 მსმენელმა. ამათგან 26 კაცმა ფრიადზე ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები და მიიღო წარჩინების დიპლომი.

პარტიული სკოლის პროფესორ-მასწავლებელთა სახელით კურსდამთავრებულებს მიესალმა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის კათედრის გამგე დოცენტი ი. ნაჭყებია, ხოლო მეორე კურსის მსმენელთა სახელით — ა. ლორია. სიტყვით გამოვიდა კურსდამთავრებული, სწავლის ფრიადოსანი ვ. დუბოვოი.

საზეიმო სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. პ. გიორგაძემ.

პარჭიული ორგანიზაციების მდივნების სემინარი

ჩოხატაური. (საკ. კორ.). მოეწყო რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სემინარი. სემინარზე მოსმენილ იქნა მოხსენებები პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებზე.

სემინარზე მოხსენებები წაიკითხეს რაიკომის მდივნებმა ამხ. გ. მამალაძემ, გ. შენგელიამ და ი. მეფარიშვილმა, რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. რ. გიორგაძემ, რაიონული გაზეთის „ბრძოლის დროშის“ რედაქტორმა ამხ. ა. გურგენიძემ და სხვებმა.

აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა თათბირი

ოჩამჩირე. („კომუნისტის“ კორ.). პარტიის რაიკომმა მოაწყო აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა რაიონული თათბირი. თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენება საკითხზე „მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მოსავლის აღების დღეებში“.

მასებში პოლიტიკური აგიტაციის თავიანთ გამოცდილებაზე ელაპარაკენ აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებმა

ქრონიკული ბიბლიოთეკა

კომგაინზე ტექნიკური სიახლე



ივანე ჭუაძე წითლის მტს-ის მოწინავე კომბაინერია. მას ახასიათებს ახლის გრძნობა. იგი, როგორც იტყვიან, ჩაპკირკატებს თავის კომბაინს, ეძებს იმ გზებს, საშუალებებს, რომლებითაც შეიძლება შრომა გაადვილდეს და საგრძნობლად გაიზარდოს კომბაინის წარმადობა.

ახლის ძიებაში ჭუაძემ გამახორციელა მკის დროს დანაკარგების საწინააღმდეგო მნიშვნელოვანი ღონისძიება. მან დაამზადა ისეთი მოწყობილობა, რომელიც ადამართსა თუ დადმართში არეგულირებს ცხავს, უნარჩუნებს მას ჰორიზონტალურ მდგომარეობას. ეს უზრუნველყოფს მარცვლის დანაკარგის მინიმუმამდე შემცირებას.

საერთო მოწონება დაიმსახურა აგრეთვე ჩაწოლილი პურეულის ასადებმა მოწყობილობამ, რომელიც ივანე ჭუაძემ მოიფიქრა და გააკეთა.

მაგრამ ნოვატორი მიღწეულით როდი კმაყოფილდება. იგი შეუნელებლად ეძებს კომბაინის ტექნიკური გაუმჯობესების ახალ გზებს. ივანეს არ აკმაყოფილებდა ნამჯის შემგროვებლის კონსტრუქცია, რომელიც ორი კაცის შრომას მოითხოვდა. მტვერი და ბუღი სულს უხუთავდა მათ.

— ეს საქმე, — ფიქრობდა იგი, — ავტომატს უნდა დაეკისროს. ნამჯის შემგროვებელზე ადამიანთა შრომა უნდა გავთავისუფლოთ.

ამ საკითხზე ფიქრს ბევრჯერ გაუტანია ივანე. ნოვატორის შემოქმედებითმა აზრმა გაიმარჯვა. მან ახალი მოწყობილობის კონსტრუქცია ჯერ ქაღალდზე გადაიტანა, შემდეგ მის დამზადებას შეუდგა და გასულ ზამთარში ამ საქმეზე ენერგიულად მუშაობდა. გაზაფხულზე დაამთავრა მოწყობილობის გაკეთება.

ყველას აინტერესებდა, რით დამთავრდებოდა ივანეს წამოწყება. მალე სახელსხნოს ეზოში მოეწყო ამ მოწყობილობის გამოცდა. ნამჯის შემგროვებელზე ბლომად დაყარეს ნამჯა და აამუშავეს კომბაინი. ნამჯის შემგროვებელი ავტომატურად აყირავდა, ნამჯა მთლიანად მიწაზე დახვავდა.

— ჩინებულია, გილოცავთ გამარჯვებას, — გაისმოდა აქეთ-იქიდან მექანიზატორთა ხმები. ნოვატორი კმაყოფილებით შესცქეროდა თავის ახალ მოწყობილობას.

როგორია ივანე ჭუაძის მიერ გაკეთებული მოწყობილობა?

ნოვატორმა მექანიზატორმა ნამჯის შემგროვებელზე დააყენა ეგრეთწოდებული ბიტერი (თითებიანი დერძი, რომელსაც ამოძრავებს ნამჯის შემგროვებლის ბორბალი). კომბაინის სვლის დროს ბრუნვა გადაეცემა ბიტერს. ბიტერი ნამჯის შემგროვებელში ჩამოსულ ნამჯას გაასწორებს და ნაწილბრივ დატენავს. როცა ნამჯის შემგროვებელი გაივსება, ნამჯა გარკვეულ წინაადმდეგობას გაუწევს ბიტერს და გამოიწვევს მის გაჩერებას, ხოლო ბიტერის დერძში ჩასმული კბილანა ქუროში დაცურდება. ამ დროს ნამჯის შემგროვებლის გადმოსაცლელი მრწყობილობა ავტომატურად ჩაირთვება და იგი გახსნის ნამჯის შემგროვებლის უკანა სარქველსა და ფსკერს. ნამჯა ავტომატურად გადმოიცლება.

ამ გაუმჯობესებული მოწყობილობით მუშაობს წელს ივანე ჭუაძის „სტალინეც-6“ მარკის კომბაინი. მის ეკიპაჟს სამი კაცი შეადგენს: კომბაინერი ივანე ჭუაძე, მეშტურვალე ვასილ კირაკოზაშვილი, ტრაქტორისტი ვასილ ალენიკოვი. ახლა კომბაინზე საჭირო აღარ არის ნამჯის დაცლაზე მომუშავე ორი კაცი. მიღწეულია შრომადღეების ხარჯვის საგრძნობი ეკონომია, გაიზარდა კომბაინიდან ნამჯის გადმოცლის წარმადობა, შრომის ნაყოფიერება.

ამ ნოვატორის რაციონალიზატორობაზე ბევრი რამ ითქვა, სათანადო დოკუმენტებიც შეიქმნა, მის შესანიშნავ საქმეზე სამართლიანად ალაპარაკდა წითელწყაროს რაიონული გაზეთი, რომელმაც მთელი გვერდი დაუთმო ნოვატორის მიერ განხორციელებულ გაუმჯობესებათა გაშუქებას. ვფიქრობთ, ივანე ჭუაძის მიერ გაკეთებული ახალი მოწყობილობა სერიოზული ყურადღების ღირსია. ნოვატორს მეტი დახმარება უნდა გაეწიოს.

საჭიროა ეს ტექნიკური გაუმჯობესებანი ფართოდ გავავრცელოთ და გამოვიყენოთ პრაქტიკულ მუშაობაში.

• • •

სურათზე: წითლის მტს-ის კომბაინერი ი. ჭუაძე (წრეში), რომელმაც გააკეთა ნამჯის ავტომატურად გადმოსაცლელი.

ფოტო შ. გოქაძისა.

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი — კოლმეურნეობებში

ლენტეხი. (სპეც. კორ.). საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სოფელ ჩუკულის მიქიანის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობა დაიწყო კომკავშირელმა ჭ. გულბიანმა, რომელიც ამჟამად ბრიგადას ხელმძღვანელობს. მისი ბრიგადა მოწინავეა. ჭ. გულბიანი უმაღლეს სასწავლებელში დაუსწრებლად განაგრძობს სწავლას. კოლმეურნეობაში ყოველდღიურ დავალებებს წარმატებით ასრულებენ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები დ. გულბიანი და ლამარა ჯინჭარაძე.

სოფელ ჩიხარეშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში საშუალო სკოლის კურსდამთავრებული კომკავშირელი ს. ჯანხოთელი მოწინავე კოლმეურნეა. სამაგალითო შრომისათვის იგი საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა საპატიო სიგელით და ფასიანი საჩუქრით დააჯილდოვა.

საკოლმეურნეო შრომის ნიჭიერი ორგანიზატორია სოფელ ლეუშერის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდა თავმჯდომარე ი. შავრეშიანი. იგი კოლმეურნეობას საფეხბურთო ჩაუდგა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ამავე დროს არის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტი, სწავლას განაგრძობს დაუსწრებლად.

ამჟამად საშუალო სკოლის კურსდამთავრებული მრავალი ახალგაზრდა რაიონის კოლმეურნეობებში თავდადებით იბრძვის უხვი მოსავლისათვის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის შემდგომი ზრდისათვის.

მისაბაძი ინიციატივა

მისასალმებელია თბილისის 77-ე საშუალო სკოლის (დირექტორი გ. კობახიძე) ღონისძიებანი მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და დისციპლინის განმტკიცების საქმეში როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარეთ.

გასულ სასწავლო წელს სკოლაში შემოღებულ იქნა სასწავლო ნივთების (რვეული, ფანქარი, საშლელი, სახაზავი, სამელნე, ფარგალი, ტრანსორტირი, დღიური, ალბომები და სხვ.) უგამყიდველად გაყიდვა. სკოლის დერეფანში დგას მაგიდა, რომელზეც აწყვია სხვადასხვა სასწავლო ნივთები. ზემოთ, შესაბამის ადგილებში, ნაჩვენებია ამა თუ იმ ნივთის ფასი. მივა მოსწავლე, აიღებს იმას, რაც მას ესაჭიროება და დადებს საფასურს. ასეთი „ვაჭრობის“ დროს მას კონტროლს არავინ არ უწევს და მისასალმებელი ის არის, რომ არც ერთი კაპიკი არ იკარგება.

აღნიშნულმა ღონისძიებამ უდიდესი შედეგი გამოიღო მოსწავლეთა თვითშეგრძნის აღზრდაში, სახელმწიფო ქონების წესიერად მოპყრობის, დისციპლინის განმტკიცების საქმეში.

მაგალითად, მოსწავლეს სახლში დარჩა რვეული, სამელნე, ფანქარი ან სხვა. მან საჭიროების შემთხვევაში თხოვნა უნდა დაიწყოს. ზოგ შემთხვევაში მოსწავლე განგებ ტოვებდა სახლში რაიმე სასწავლო ნივთს, მაგალითად, სამელნეს და საკონტროლო წერის დროს სარგებლობდა ამბანაგის სამელნით. ამ გზით ახდენდა ამხანაგიდან გადაწერას. თუ მოსწავლეს დაეწყება რაიმე ნივთი, შეუძლია იქვე შეიძინოს.

ი. კაკაბაძე,
თბილისის 77-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი.

წესრიგი დავამყაროთ ტყვარჩელის მუშათა მომარაგების სავაჭრო ქსელში

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ საჭალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრად გადიდებისათვის, სავაჭრო და ახორციელებენ უდიდეს ღონისძიებებს მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, ვაჭრობის ქსელის გაჯანსაღებისა და გაფართოებისათვის, ვინაიდან მხოლოდ სავაჭრო ქსელის საშუალებით ხდება საქონლის უშუალოდ მიწოდება მომხმარებლისათვის.

მუშათა მომარაგების განყოფილებებს საბჭოთა კულტურული ვაჭრობის სისტემაში საპატიო ადგილი უკავიათ, მაგრამ ზოგჯერ ეს განყოფილებები ისე ვერ მუშაობენ, როგორც საჭიროა.

სერიოზული ნაკლოვანებები აქვს მუშაობაში ტყვარჩელ-ქვანახშირის ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილებას (უფროსი მ. გუდავაძე). შარშან მან მეშახტე მომხმარებლებს 8 მილიონზე მეტი მანეთის საურსათო და სამრეწველო საქონელი დააკლო, საქონელბრუნვის წლიური გეგმა კი მხოლოდ 90,5 პროცენტით შეასრულა. წელსაც ეს განყოფილება მოუქნელად, გაუმართავად მუშაობს.

განყოფილების სავაჭრო ქსელში უხეშად ირღვევა საბჭოთა ვაჭრობის წესები, ხშირია ფასების დამახინჯების, ზონა-წონაში მომხმარებელთა მოტყუების, სახელმწიფო ქონების გაფლანგვა-დატაცების შემთხვევები, ამავე დროს დამნაშავეთა გამოვლინება შეუწყნარებლად ჭიანურდება. ტყვარჩელის საქალაქო პარტიულმა, საბჭოთა და სავაჭრო ორგანიზაციებმა მდგომარეობის გამოსასწორებლად ღონისძიებებიც დასახეს, მაგრამ ამ ღონისძიებებს ჯერჯერობით შედეგი არ მოჰყოლია.

შერეული საქონლით მე-2 სავაჭრო მაღაზიაში გამგე-გამყიდველი გ. ძაგნიძე, 8 ივნისს 3 მანეთად და 50 კაპიკად ღირებულ საბავშვო წინდებს 4 მანეთად და 20 კაპიკად ყიდდა. ასევე ზედმეტ ფასებში ყიდდა მამაკაცის წინდებსაც. შემოწმების დღეს ძაგნიძეს დახლის ქვეშ გადამალული აღმოაჩნდა ნამაკაცის სამოდელო ფეხსაცმელი და რამდენიმე კილოგრამი კარაქი. ფასების დამახინჯების ფაქტებია აგრეთვე სამრეწველო საქონლის მე-სამე (გამგე ა. ესებუა) და 43-ე (გამგე ა. ელბაქიანი) მაღაზიებში.

მომხმარებელთა მომსახურების თავისებური მეთოდი გამოიმუშავა სამრეწველო საქონლის 26-ე მაღაზიის გამგემ გ. გუიმჯიანმა. მაღაზიაში მიღებული ზოგიერთი საქონელი, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა, გასაყიდად არ გამოაქვს, პირდაპირ მაღაზიის საწყობში ძმაბიჭურად ანაწილებს. 7 ივნისს მას შემონახული აღმოაჩნდა 48 მეტრი ფანჯრის საფარდე ქსოვილი.

ამ მაღაზიაში, როგორც წესი, თაროებზე გასაყიდად განლაგებულ სხვადასხვა სახის ფეხსაცმელს, კალოშებს, საბავშვო წინდებს და ზოგიერთ სხვა საქონელს იარლიყები და ფასის მაჩვენებლები არა აქვს.

მომხმარებელთა მოტყუებაში ახალი ხერხების „გამოგონებით“ თავი ისახელეს სამრეწველო საქონლის მე-15 და მე-4 მაღაზიების გამგეებმა ნ. აფაქიძემ და ა. კეკელიძემ. მათ ხელი მიჰყვეს ერთმანეთის შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლას. ან გზით ეწევიან საქონლის ფასების წამატებას მითვისების მიზნით. არასრული ცნობებით აფაქიძეს ამ გზით მითვისებული აქვს 9.700 მანეთზე მეტი, ხოლო კეკელიძეს — 15 ათას მანეთზე მეტი.

სამრეწველო საქონლის მე-7 მაღაზიაში (გამგე შ. მიქაია) ნავაჭრ თანხას აბარებენ არა ყოველდღიურად, როგორც ეს წესია, არამედ 5-6 დღეში ერთხელ. მაგალითად, 8 ივლისს მაღაზიის სამრეწველო საქონლის სექციის გამგეს ზ. პოკროვას აღმოაჩნდა 5.795 მანეთი, რაც, როგორც თვითონ განაცხადა, 3-4 დღის ნავაჭრი იყო.

მუშათა მომარაგების განყოფილების ხელმძღვანელები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან აგრეთვე სასურსათო მაღაზიებისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების მუშაობას, არ უწევენ მათ კონტროლსა და დახმარებას. ამით არის გამოწვეული სასურსათო მაღაზიებსა და საზოგადოებრივი კვების ობიექტებში ვაჭრობის წესების დარღვევა, მომხმარებლებისადმი უსულგულო დამოკიდებულება და ზომა-წონაში მოტყუების აღნაშფოთებელი შემთხვევები.

პურის მე-60 მაღაზიაში (გამგე ტ. ხაჯიმბა) მომხმარებელ ლ. ბულისკერიას წონაში 50 გრამი პური დააკლეს. ამ პურს ყიდდა ტ. ხაჯიმბას ქმარი ბ. არშბა, რომელიც სავაჭრო ქსელში სრულიად უცხო ადამიანია.

მე-13 სასადილოში (გამგე ე. რიგვავა) მომხმარებელ ნ. თოდუას ორ ჭიქა რძეში 70 გრამი დააკლეს. სასადილოში აუტანელი ანტისანიტარული მდგომარეობაა. შემოწმების დღეს ბუფეტიდან მომხმარებლებს რამდენიმე დღის დაობებულ პურს აძლევდნენ. სასადილოს გამგე ე. რიგვავა ნაცვლად იმისა, რომ ყოველდღიურად იზრუნოს მომხმარებელთა უკეთ მომსახურებისა და სასადილოში წესრიგის დამყარებისათვის, კომბინაციებშია გართული. ამას წინათ გალის რაიონიდან ჩამოსულ უცხო კაცს მანქანაში ორი ყუთი კარაქი ჩაუწყო და გაატანა. მილიციის ადგილობრივმა მუშაკებმა კარაქიანი ნანქანა ტყვარჩელშივე დაიკავეს, მაგრამ კომბინატორი რიგვავა არხეინად გრძნობს თავს და მისი „ხელმძღვანელობით“ მომხმარებელთა ზომა-წონაში მოტყუება კვლავ გრძელდება. აღსანიშნავია, რომ ე. რიგვავა წინათ მუშათა მომარაგების ქსელში ცუდი მუშაობისათვის ორჯერ იყო მოხსნილი.

მე-7 სასადილოში (გამგე ი. კობახია) 7 ივნისს საბაგირო გზის მუშებს ნ. პეტროვს, მ. ყულიევს და სხვებს დამპალი ხორცისაგან გაკეთებული კერძები მიუტანეს. კერძში ხოჭოც აღმოჩნდა, რამაც მომხმარებელთა სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია. შემოწმებისას სასადილოში 11 კილოგრამი საქონლის დამპალი ხორცი აღმოაჩნდათ.

ტყვარჩელ-ქვანახშირის ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილება, მილიციისა და პროკურატურის ადგილობრივი ორგანოები სუსტად იბრძვიან ასეთი უწესრიგობის აღსაკვეთად. როგორც შარშან, ისე წელს გაფლანგვა-დატაცების მრავალი შემთხვევა იყო, მაგრამ დამნაშავეთა დიდი ნაწილი ჯერაც დაუსჯელია. მაგალითად, 22-ე სასაუზმის გამგეს ი. ართილაყვას გასულ წელს 16.710 მანეთი დანაკლისი აღმოაჩნდა. იგი პასუხისგებაში მიცემის ნაცვლად მე-20 სასაუზმის გამგედ გადაიყვანეს. სასურსათო საქონლის მე-3 საწყობის გამგემ ი. პუსტოვოიმ წელს 100 ათასი მანეთზე მეტი გაფლანგა, ხოლო მე-7 სასადილოს გამგემ გ. კისლინგმა 9.499 მანეთი. სახელმწიფო თანხების მიმთვისებლები ართილაყვა, პუსტოვოი და კისლინგი მხოლოდ თანამდებობიდან გადააყენეს.

ტყვარჩელის სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში სერიოზული დარღვევები და ნაკლოვანებანი უწინარეს ყოვლისა იმის შედეგია, რომ მუშათა მომარაგების განყოფილებაში დღემდე უსულგულოდ და უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან სავაჭრო ქსელის განტკიცებას საქმისმცოდნე, პატიოსანი კადრებით, სათანადო კონტროლს არ უწევენ სავაჭროებს.

ტყვარჩელის საქალაქო პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები მოვალენი არიან გადამწყვეტი ზომები მიიღონ სავაჭრო ქსელის ნაკლოვანებათა სწრაფად აღმოფხვრისათვის.

რეიდის მონაწილენი: ვ. აბშილავა (ტყვარჩელის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილების გამგე), **ლ. ბაბუნია** (აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის სამინისტროს საზოგადოებრივი კვების განყოფილების უფროსი), **ი. ბოგბეჩია** („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი).

რაჭიმ ჭიანურდება სასილოსე ნაგებობათა მშენებლობა?

— რა მდგომარეობაა სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის მხრივ თქვენი მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში? — შეეკითხეთ ხაშურის მტს-ის პარტიული ბიუროს მდივანს ამხ. შ. მოწონელიძეს.

— ამაზე არაფერი ვიცი, სასილოსე მშენებლობის შესახებ მასალები აქვს მტს-ის საკოლმეურნეო მშენებლობის ტექნიკოსს ამხ. ნოზაძეს, — გვიპასუხა მან და თან დასძინა: პარტიის რაიონულ კომიტეტში მოეწყო თათბირი, რომელზეც საშეფო ორგანიზაციებმა იკისრეს დაეხმარონ კოლმეურნეობებს სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის დასაჩქარებლად. მაგრამ კონკრეტულად რა დახმარებას უწევენ საშეფო ორგანიზაციები, ამაზე პარტბიუროს მდივანმა ვერაფერი გვითხრა. იგი საქმის კურსში არ არის, რატომღაც ინტერესს არ იჩენს სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის მიმდინარეობისადმი. მტს-ის პარტიულ ორგანიზაციას ერთხელაც არ განუხილავს ეს აქტუალური საკითხი.

ეს ფაქტი შეიძლება არ დაგვესახელებინა, რომ იგი გამონაკლისი იყოს მტს-ის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის პრაქტიკაში. სამწუხაროდ, ასეთ ფაქტებს რაიონის სხვა პარტიული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკაშიც ვხვდებით.

სოფელ მიწობის ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობაში გეგმის თანახმად 75 ტონის ტევადობის ტრანშეა უნდა ააგონ. ეს დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, მუშახელი კოლმეურნეობას ჰყავს, საშენი მასალა, ქვა და სილა და სხვ. ადგილზეევე აქვს. 20 ტონა გამომწვარი კირი სურამის ქარხნიდან უნდა წაიღონ. მაგრამ საქმე წინ არ მიდის. მონდომება და ინიციატივა აკლიათ. კოლმეურნეობას (თავმჯდომარე მ. გულიტაშვილი) და პარტიულ ორგანიზაციას (მდივანი გ. ლაბაძე) ჯერ არ განუხილავთ საკითხი და არ უმსჯელიათ ამ დიდმნიშვნელოვანი დავალების პირნათლად შესრულებისათვის.

— სასილოსე ტრანშეის მშენებლობისათვის ძირითადი მასალა ადგილზე გვაქვს, მაგრამ მშენებლობის დასაწყებად შეფ ორგანიზაციას ველოდებითო, — უდარდელად განაცხადა პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. ლაბაძემ, გამოირკვა, რომ ამ კოლმეურნეობაზე შეთობა ჯერჯერობით არავის აუღია. შეთების მოლოდინში კი კოლმეურნეობაში სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის დასაჩქარებლად ზომებს არ იღებენ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მიმდინარე წლის ივნისში მოწვეულ თათბირზე გააკრიტიკეს ხაშურის რაიონი სასილოსე ნაგებობათა მშენებლობაში ჩამორჩენისათვის. მდგომარეობის გამოსასწორებლად პარტიის ხაშურის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა თათბირი მოაწყეს. ამ თათბირზე ორგანიზაციების ხელმძღვანელებს დაევალათ დროულად დახმარებოდნენ კოლმეურნეობებს.

რაიონის კოლმეურნეობებში წელს გათვალისწინებულია აშენდეს 6.800 ტონის ტევადობის სასილოსე ნაგებობანი. ამ დავალების შესრულებით საზოგადოებრივი პირუტყვი მთლიანად უზრუნველყოფილი იქნება წვნიანი საკვებით, მაგრამ მშენებლობის თავის დროზე დაძთავრებისათვის ცოტა კეთდება. ტრესტ „წყალმშენის“ საქმეხელო-სამონტაჟო კანტორა № 6-ს დავალებული აქვს მექანიზებული წესით შეასრულოს ათი ათასი კუბმეტრი მიწის სამუშაო. მაგრამ მიწის ამოღების ტემპი დაბალია. ასევე ცუდად არის დაყენებული ადგილებზე სამენი მასალების მიზიდვა.

ჩამორჩენა სასილოსე ნაგებობათა მშენებლობაში იმით აიხსნება, რომ კოლმეურნეობათა გამგეობები და პარტიული ორგანიზაციები, ხაშურისა და გომის მტს-ები მას მეორეხარისხოვან საქმედ თვლიან და კონკრეტულად არ ხელმძღვანელობენ. ამ სამუშაოს დროულად შესრულებისადმი ნაკლებ მომთხოვნელობას იჩენენ პარტიის ხაშურის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი.

სოფლების ზემო და ქვემო ოსიაურის, კლდისწყაროს სტალინის სახელობის და ვაყის კოლმეურნეობებში სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის საკითხი შეისწავლა რაისაბჭოს აღმასკომის კოლმეურნეობებში მშენებლობის განყოფილებამ და 2 ივლისს განსახილველად შეიტანა აღმასკომში. ზემო და ქვემო ოსიაურის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები სხდომაზე არ გამოცხადდნენ. საკითხი განიხილეს მათ დაუსწრებლად, ნათთვის პასუხი არ მოუთხოვიათ. ცხადია, საკითხის ასე ფორმალურად განხილვა შედეგს არ მოგვცემს.

ხაშურის რაიონის კოლმეურნეობებში შარშანდელთან შედარებით წელს სამჯერ გაზარდეს სიმინდის ნათესი ფართობი. სიმინდის დასილოსებამდე ცოტა დრო დარჩენილი. რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა სასწრაფო ზომები უნდა მიიღონ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ვ. გურგენიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის

რედაქციაში შემოსული წერილების მიმოხილვა

რედაქციას მოსდის მრავალი წერილი, რომლებშიც მოთხრობილია სოციალისტური სოფლის მოწინავე ადამიანთა შრომის წარმატებებზე. ახლა სოფლად სამუშაოთა ცხარე დღეებია. ძვირფასია თვითეული დღე, თვითეული საათი, რათა ვამრავლოთ საკოლმეურნეო დოვლათი, შევცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

წითლის მტს-ის გ. დოლიძის კომბაინის აგრეგატის კოლექტივის ინიციატივით გაჩაღებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ ფართო ხასიათი მიიღო. კომბაინერები საქმით ასრულებენ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. ა. ჭუჭულაშვილი იწერება, რომ სილნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანის მაზარაძის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ვ. კობაიძე) დაწინაურდა მოსავლის აღებაში. კოლმეურნეობაში დიდ ფართობზე საშუალოდ ჰექტარზე აღებულია 22 ცენტნერი ქერი. პირველი განაღეწი მარცვლეული სახელმწიფოს ჩააბარეს.

რაიონებიდან მოსული ცნობებით მოწინავე კოლმეურნეობები ორგანიზებულად აწყობენ მკას, ლეწვას და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარებას. ქერის მაღალი მოსავალი მიიღო, — გვწერს **ნ. ნასარიძე,** სოფელ კოდის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ი. დალაქიშვილი) იმ ბრიგადამ, რომელსაც ვ. კეცაძე ხელმძღვანელობს. ბრიგადამ 100 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 23 ცენტნერი ქერი მიიღო.

პურის მკაში დაწინაურდა გურჯაანის მტს-ის კომბაინერი ი. ბელიანინი, — გვატყობინებს ჩვენი გაზეთის მკითხველი **თ. გოგიაშვილი.** ბელიანინი გამოცდილი კომბაინერია, მან აიღო 200-ზე მეტი ჰექტარი ხორბალი და გალეწა 400 ტონამდე მარცვალი.

წითელწყაროს რაიონის ქედის მტს-ის ზონაში მარცვლეული თავთავიანი კულტურების უხვი მოსავლის შესახებ გვაცნობებს სოფლკორი **გ. გოჩიტაშვილი.**

ამასთან „კომუნისტის“ მკითხველები იწერებიან მოსავლის აღების შემაფერხებელ მიზეზებზე. ალაზნის მტს-ის პარტბიუროს მდივანი **ჯ. ცაბუტაშვილი** გვწერს:

„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ალაზნის მტს-ის ტიპური სახელოსნოს მშენებლობა დაავალა გურჯაანის სამშენებლო კონტორას. როგორც იქნა ერთი ფარდული გამოსაყენებლად მომზადდა. მაგრამ შიგ წვიმა ჩამოდის. ნელი ტემპით მიმდინარეობს სარემონტო სახელოსნოს მშენებლობა. ამ მდგომარეობამ გავლენა მოახდინა მტს-ის მუშაობაზე და მოსავლის აღებაზე. ტიპური სახელოსნოს მშენებლობა უნდა დაჩქარდეს“.

მოწინავე კოლმეურნეები და მექანიზატორები დიდ მზრუნველობას იჩენენ სომინდის მოსავლის გასადიდებლად. მათ კარგად აქვთ შეგნებული რომ უხვი მოსავლის ბედს ნათესების სარიმუშოდ მოვლა წყვეტს. სოფლკორი **გ. გეგუჩაძე** წერს: სიმინდის ნათესებს კარგად უვლის წულუკიძის რაიონის სოფელ წითელგორსკის ბრიგადა. ბრიგადის ნათესებზე ბოლო ორ კვირეულში ოთხჯერ ჩატარდა ფოსფორიანი ნაკვები. ბრიგადა ამ ნაკვებს ადგილობრივ ბაზაზე ამზადებს. ბრიგადა ბოლო ორ კვირეულში ოთხჯერ ჩატარა ნალეტი

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲡᲝᲤᲘᲐ, 14 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲓᲔᲞᲔᲨᲐᲗᲐ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ ᲒᲐᲓᲛᲝᲒᲪᲔᲓᲐ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ შემდეგ ტექსტს სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა მეთაურების თათბირთან დაკავშირებით, რომელსაც ჟენევაში იწყვეენ 1955 წლის 18 ივლისს:

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ მთავრობა და მშვიდობიანი ბულგარელი ხალხი მიესალმებიან საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა მეთაურების თათბირს, რომელიც მოწვეულია ჟენევაში 1955 წლის 18 ივლისს. და გამოთქვამენ გულწრფელ სურვილს, რომ ეს თათბირი წარმოებდეს ვითარებაში, რომელიც შესაძლებელს გახდის დამყარდეს ურთიერთნდობა და გამოიწვიოს დადებითი შედეგები საერთაშორისო მდგომარეობის დაძაბულობის თანდათანობით შენელებაში.

მთელი რიგი მოვლენები, რომლებიც უკანასკნელ დროს მოხდა, კერძოდ აზიასა და აფრიკის ქვეყნების ბანდუნგის კონფერენცია. ავსტრალიასთან დადებული სახელმწიფო ხელშეკრულება, საბჭოთა მთავრობის წინადადება იმ საკითხებზე, რომლებიც ეხება შეიარაღების შემცირებას, ატომური იარაღის აკრძალვასა და ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილებას, სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ურთიერთობის გაუმჯობესება, წინადადება დამყარდეს დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობა სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს ერთობლივი განცხადება, ქმნიან ხელსაყრელ პირობებს, რომლებიც შესაძლებელს ხდიან ბოლო მოეღოს „ცივ ომს“, მიღწეულ იქნას საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით თანდათანობით მოწესრიგდეს მთელი რიგი ჯერ კიდევ გადაუჭრელი საკითხები სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ინტერესებისათვის, დამოუკიდებლად მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების განსხვავებისა. მთელი მსოფლიოს ხალხები იმედით მიესალმებიან და მხარს უჭერენ ღონისძიებებს, რომლებსაც იღებენ იმისათვის, რომ უზრუნველყონ და განამტკიცონ მთელი მსოფლიოს მშვიდობა და თავიდან აიცილონ ომი მთელი მისი ნგრევითა და ტანჯვით.

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ მთავრობა, რომელიც აღფრთოვანებულია სურვილით აგრეთვე შეიტანოს თავისი წვლილი მშვიდობის კეთილშობილურ საქმეში, ასრულებს რა თავისი ხალხის ნებას, მხარს უჭერს და თვითონაც იღებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, სადავო და გადაუჭრელი საერთაშორისო საკითხების მოლაპარაკების გზით გადაჭრა, ბალკანეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცება. თავის პოლიტიკაში იგი უცვლელად ხელმძღვანელობს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპით, რაც შესაძლებელია სხვადასხვა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ქვეყნებს შორის.

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ რესპუბლიკის მთავრობა განსაკუთრებული კმაყოფილებით მიესალმა საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხელმძღვანელების მოლაპარაკებას ბელგრადში. იგი სავსებით უჭერს მხარს ბელგრადის განცხადებას, რომელსაც ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ი. ბროზ-ტიტომ, და მტკიცედ დარწმუნებულია იმ განცხადების სისწორეში. ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ რესპუბლიკის მთავრობა, რომელსაც მხარს უჭერს მთელი ბულგარელი ხალხი, ყოველივეს გააკეთებს, რაც მასზეა დამოკიდებული. იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკასთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებისათვის.

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ მთავრობამ გააკეთა და კვლავ აკეთებს მშვიდობიან დამარშებს, რათა კეთილი ურთიერთობა დამყაროს აგრეთვე თავის სამხრეთელ მეზობლებთან — საბერძნეთთან და თურქეთთან. იგი დარწმუნებულია, რომ ასეთი ურთიერთობა წარმოადგენს ურთიერთინტერესს და იწვევს მშვიდობის განმტკიცებას ბალკანეთში. ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ მთავრობას სჯერა და იმედი აქვს, რომ მისი მშვიდობიან დემარშები შეხვდება თანაგრძნობას საბერძნეთისა და თურქეთის მხრივ და ამის შედეგად სულ უფრო განმტკიცდება მშვიდობა ბალკანეთში, რითაც დაინტერესებულია ბალკანეთის ყველა ხალხი.

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ სურს იცხოვროს და აშენოს მშვიდობის ვითარებაში. განამტკიცოს თავისი თანამშრომლობა ყველა მშვიდობიან ხალხთან. იგი საარსებოდ დაინტერესებულია გერმანიის საკითხის მოწესრიგებით მშვიდობიან და დემოკრატიულ საფუძველზე, ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნით. შეიარაღების შემცირებით, ატომური იარაღის აკრძალვით და მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის მოკავით.

ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ რა სურვილით გაფართოდეს თანამშრომლობა ხალხებს შორის, ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ სახალხო რესპუბლიკა სულ უფრო აქტიურ მონაწილეობას იღებს საერთაშორისო პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ სახალხო რესპუბლიკა, რომელიც შუდამ უსიტყვოდ უჭერდა მხარს პრინციპებს, რომლებიც მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში. სავსებით აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც წამოყენებულია ამ ორგანიზაციის წევრებისათვის, და კვლავ გამოთქვამს რწმენას, რომ მისი უდავო უფლება — იყოს ამ ორგანიზაციის წევრი, მოლოს, განხორციელდება.

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ სახალხო რესპუბლიკის მთავრობა და მთელი ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘ ხალხი გამოთქვამენ იმედს, რომ ოთხი დიდი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურება, შეიკრებებიან რა ჟენევაში, გამოიჩენენ კეთილ ნებასა და საერთაშორისო ვითარების გონივრულ გაგებას, რათა მიეცეთ შესაძლებლობა მიაღწიონ საჭირო შეთანხმებას იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს „ცივ ომს“, იარონ მოლაპარაკების გზით, აღადგინონ ნდობა სახელმწიფოთა შორის, რაც საერთაშორისო მდგომარეობის დაძაბულობის შემდგომი შენელების, მსოფლიოს სახელმწიფოთა და ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობის აუცილებელი პირობაა მათი მმართველობისა და ცხოვრების შინაური საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის მიუხედავად.

ᲯᲐᲕᲐᲰᲐᲠᲚᲐᲚ ᲜᲔᲠᲣ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲓᲔᲚᲘ, 14 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). გაზეთ „ჰინდუსტან სტანდარდის“ ცნობით, გუშინ ინდოეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა პანტმა პრემიერ-მინისტრის ნერუს პატივსაცემად მოაწყო არაოფიციალური დარბაზობა, რომელზეც იყვნენ ინდოეთის პრეზიდენტი პრასადი, ვიცე-პრეზიდენტი რადჰაკრიშნანი და ინდოეთის მთავრობის წევრები.

დარბაზობის დროს ნერუმ დამსწრეთ გაუზიარა შთაბეჭდილებანი საბჭოთა კავშირსა და სხვა ქვეყნებში თავისი მგზავრობის შესახებ. მან, კერძოდ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველგან, სადაც კი იყო, ნახა საყოველთაო-სახალხო მისწრაფება მშვიდობისადმი. შეეხო რა საბჭოთა კავშირში მგზავრობას, ნერუმ აღნიშნა, რომ მეგობრობა, რომლითაც მას ხვდებოდნენ, უეჭველია, გულწრფელი იყო. იღაპარაკა რა ინდუსტრიალიზაციაზე საბჭოთა კავშირში, ნერუმ აღნიშნა მექანიზაციის მაღალი დონე არა მარტო მრეწველობაში, არამედ სოფლის მეურნეობაშიც. მან განსაკუთრებით აღნიშნა ზრუნვა მუშათა ბავშვების დასვენებისათვის, რაც მან საბჭოთა კავშირში ნახა.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲔᲛᲗᲐ ᲞᲐᲚᲐᲢᲐᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 15 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). პრეს ასოციაციაში საგენტო იუწყება, რომ გუშინ ლეიბორისტმა არტურ ჰენდერსონმა თემთა პალატაში პრემიერ-მინისტრს მიმართა თხოვნით ჩამოაყალიბოს ძირითადი მიზნები ინგლისის მთავრობის პოლიტიკისა ჟენევის მომავალ თათბირზე.

ჰენდერსონმა თქვა: „განუმარტავთ თუ არა თქვენ თათბირის მონაწილეებს, რომ მთელი ინგლისელი ხალხი მხარს უჭერს მშვიდობიანი თანაარსებობის იდეას და მზად არის სავსებით შეასრულოს თავისი როლი იმ პირობების შექმნაში, რომლებიც უზრუნველყოფენ ომის თავიდან აცილებას?“.

იდენმა უპასუხა, რომ ინგლისის მთავრობის მიზნები, აგრეთვე შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის მთავრობათა მიზნები, ჩამოყალიბებულია ნოტაში, რომელიც ამ სახელმწიფოებმა გაუგზავნეს საბჭოთა კავშირის მთავრობას 10 მაისს.

ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲔᲠᲘᲝᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲣ ᲒᲐᲖᲗᲘᲡ „ᲔᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ“

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 13 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). საფრანგეთის ეროვნული კრების სპიკერი თავმჯდომარემ ედუარდ ერიომ ინტერვიუში გაზეთ „ენფორმაციონისადმი“ გუშინ განაცხადა, რომ იგი დიდი ინტერესით მოელის ჟენევის თათბირს.

ერიოს აზრით, ეს თათბირი „შეიძლება გახდეს ძალიან დიდი მოვლენა — ახალი ისტორიული ხანის დასაწყისი, პირველი ჭეშმარიტად სერიოზული ღონისძიება ომის ყველა უბედურების წინააღმდეგ ბრძოლაში“, რომლებიც კაცობრობას ემუქრება.

შეეხო რა საფრანგეთის პოლიტიკას აღმოსავლეთისა და დასავლეთის დაახლოების დარგში, ერიომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ... „შინაგანი ხასიათის არავითარ მოსაზრებას არ უნდა მიეცეს უპირატესობა იმის წინაშე, რომ საჭიროა საფრანგეთმა განაახორციელოს მშვიდობის პოლიტიკა — მტკიცე და არა ის მერყეები მშვიდობის პოლიტიკა, რომელიც ემყარება შემთხვევითს კოალიციებსა და მერყეე კავშირებს“.

ინტერვიუს დასასრულს ერიომ, ისურვა რა, „რომ კონსტრუქციულმა მოქმედებამ ხანგრძლივი დროით გააერთიანოს ევროპის ქვეყნები...“, დასძინა: „მე პირველ რიგში ვდგავარ იმათ შორის, ვინც ჟენევის თათბირისაგან მოელის ისეთ შედეგს, როგორის იმედიც დიდ ხანია ჰქონდათ“.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 14 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). როგორც ადნ-ის საგენტო იუწყება, გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობამ გამოაქვეყნა მიმართვა „გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობისა და დასავლეთ გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების გამგეობისადმი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და დასავლეთ გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების ყველა წევრისა და ფუნქციონერისადმი.

რამდენიმე დღის შემდეგ, ნათქვამია მიმართვაში, დაიწყება სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა მეთაურების თათბირი. ხალხები ამ თათბირისაგან მოელიან დიდ წვლილს საერთაშორისო მდგომარეობის დაძაბულობის შემდგომ შენელებაში. გერმანელ ხალხს არაფერი ისე მგზნებარედ არა სურს, როგორც დიდ სახელმწიფოთა შეთანხმება იმ ღონისძიებებზე, რომელთა მიზანია ჩვენი სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანება და ევროპის მშვიდობის უზრუნველყოფა.

მიმართვაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ გერმანელი ხალხის უმრავლესობას სურს თავიდან აიშოროს დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია, მოსპოს პარიზის შეთანხმებანი და გააერთიანოს გერმანია დემოკრატიულ საფუძველზე.

გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობა წინადადებით მიმართავს დასავლეთ გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა და პროფკავშირთა გაერთიანებას ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირს ერთობლივად წარუდგინონ შემდეგი მოთხოვნები:

ა) მოისპოს პარიზის შეთანხმებანი, რომლებიც ხელს უშლიან გერმანიის გაერთიანებას, და შეიქმნას სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემა.

ბ) გაიყვანონ გერმანიიდან ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და სსრ კავშირის საოკუპაციო ჯარები.

გ) დაუყოვნებლივ მოსპონ უცხოეთის ყველა სამხედრო ბაზა გერმანიის ტერიტორიაზე.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, ნათქვამია დასასრულ მიმართვაში, რომ ამ წინადადებათა განხორციელება ხელს შეუწყობს უშიშროებასა და მშვიდობას და დიდი ნაბიჯი იქნება გერმანიის ერთიანობის აღდგენის გზაზე. რადგან საოკუპაციო ჯარების გაყვანა, უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია გააადვილებს ფედერალური რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შეთანხმებას და ამრიგად შეიქმნებოდა უცხოეთის ჩაურევლად სრულიად გერმანიის თავისუფალი დემოკრატიული არჩევნების მოწყობის წინაპირობები.

ᲑᲔᲚ�გᲠᲐᲓᲨᲘ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲥᲝᲠᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘ „ᲑᲔᲠᲘᲝᲖᲙᲐ“

ᲑᲔᲚ�გᲠᲐᲓᲘ, 14 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ბელგრადში ჩამოვიდა მოსკოვის ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბერიოზკა“.

ანსამბლი კონცერტებს გამართავს ბელგრადში, ზაგრებში, ლიუბლიანაში, სკოპლეში, თბილისში, ოსიეკში, სუბოტიცაში, ნოვი სადში, ზეგუნში.

დღეს „ტაშმაიდანის“ სტადიონზე ბელგრადში გაიმართება ანსამბლ „ბერიოზკას“ პირველი კონცერტი.

ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ

ᲮᲐᲜᲝᲘ, 14 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო საგენტო იუწყება, 1955 წლის 11 ივლისს საერთაშორისო სამეთვალყურეო და საკონტროლო კომისიასთან ვიეტნამის სახალხო არმიის კავშირურთიერთობის მისიამ კომისიას გაუგზავნა წერილი, რომელშიც პროტესტს აცხადებს საფრანგეთის კავშირისა და ნგო დინ დიემის ხელისუფალთა მოქმედების წინააღმდეგ სამხრეთ ვიეტნამში.

წერილში მოყვანილია ბევრი შემთხვევა, რომ სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფლებმა რეპრესიები გამოიყენეს იმ მოქალაქეთა წინააღმდეგ, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს დაბრუნდნენ ჩრდილოეთში, ან ხელს უშლიდნენ მათ ასეთი თხოვნით მიემართათ საერთაშორისო კომისიისათვის.

წერილის დასასრულს ვიეტნამის სახალხო არმიის კავშირურთიერთობის მისია ითხოვს, რომ საერთაშორისო კომისია ჩაერიოს ამ საქმეში და მოუწოდოს საფრანგეთის კავშირს მხლიანად და კეთილსინდისიერად შეასრულოს საერთაშორისო კომისიის რეკომენდაციები და წინადადებანი ორ ზონას შორის თავისუფალი მიმოსვლის შესახებ.

ᲘᲜᲓᲝᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲨᲘᲜᲐᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲨᲘ ᲡᲔᲐᲢᲝ-Ს ᲩᲐᲠᲔᲕᲐ ᲐᲠᲚᲕᲔᲕᲡ ᲥᲔᲜᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲔᲑᲡ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ, 14 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ინდოჩინეთის საკითხთა მშვიდობიანი მოწესრიგების მტრები ხელს არ იღებენ ცდებზე ჩაშალონ ჟენევის შეთანხმებანი და, კერძოდ, აპირებენ ამ მიზნით გამოიყენონ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის აგრესიული ბლოკი-სეატო.

როგორც გაზეთ „ბანგკოკ პოსტის“ ცნობიდან ჩანს, „სეატო-ს საბჭოს“ წარმომადგენლები, რომლებიც ტაილანდის დედაქალაქში შეიკრიბნენ, ამზადებენ ლაოსის საშინაო საქმეებში ჩარევას „ყოველ დროს, როცა კი ეს საჭირო გახდება“.

საბჭოსთან ახლომდგომ წრეებში, წერს გაზეთი, აღნიშნავენ, რომ სეატო-ს სამხედრო მრჩეველებმა ამ შემთხვევისათვის უკვე შეადგინეს გეგმები, რომლებიც „შეიძლება დაუყოვნებლივ წარმატებით შესრულდეს“, და რომ თუ ლაოსის სამეფო მთავრობა „დახმარებისათვის მიმართავს“, დაწყებულ იქნება „დაუყოვნებლივი მოქმედება“.

ამ გეგმების შემუშავება დროის მიხედვით დაემთხვა ლაოსის სამეფო მთავრობის შეიარაღებული ძალების პროვოკაციულ იერიშებს პატეტ-ლაოს სახალხო ჯარების წინააღმდეგ.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების აგრესიული ბლოკის ორგანიზაცია იძულებულია აგრეთვე აშკარად ჩაერიოს ვიეტნამის საქმეებში. ფრანს პრესის საგენტოს ცნობით, სეატო-ს სამხედრო მრჩეველთა უკანასკნელ თათბირს ბანგკოკში დასწრო სამხრეთ ვიეტნამის პრემიერის ნგო დინ დიემის ხუთი წარმომადგენელი.

შეერთებული შტატების დაუყენებელი კაცის ნგო დინ დიემის წარმომადგენელთა მონაწილეობა ამ თათბირში, რომელიც, როგორც ცნობილია, მოწვეული იყო აზიაში აგრესიული მოქმედების ერთობლივი პროგრამის შესამუშავებლად, ჟენევის შეთანხმებათა ახალი დარღვევაა.

ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘ

მომავალი სეზონი ფესტივალური და საინტერესოა. სხვადასხვა ჩემპიონატებთან ერთად იმართება საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრები ფეხბურთში.

უახლესი საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრები ფეხბურთში შედგება აგვისტოში. ინგლისის ცნობილი გუნდი „ულვერჰემპტონ უონდერერსი“ 7 და 12 აგვისტოს მოსკოვში გამართავს ორ შეხვედრას. 7 აგვისტოს სტუმრების წინააღმდეგ ითამაშებს დედაქალაქის „სპარტაკი“, 12 აგვისტოს — მოსკოვის „დინამო“. სსრ კავშირში სტუმრად ჩამოვა აგრეთვე ინდოეთის სპორტული დელეგაცია, რომლის რიგებში არიან ფეხბურთელები. ამხანაგური მატჩები ინდოეთისა და სსრ კავშირის ფეხბურთელებს შორის გაიმართება მოსკოვში, ბაქოში, კუიბიშევში, ერევანში და სხვა ქალაქებში. აგვისტოში მოსკოვში მოელიან მსოფლიოს ჩემპიონს — გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ნაკრებ გუნდს, რომელიც შეხვდება სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებ კოლექტივს.

ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ, ᲚᲔᲜᲘᲜ�გᲠᲐᲓᲨᲘ, ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲝᲛᲨᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. 15 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის მატჩი. თამაშობდნენ კუიბიშევის „კრილია სოვეტოვისა“ და დედაქალაქის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივები. შეჯიბრება დამთავრდა ლიდერის — მოსკოვის „დინამოს“ მორიგი გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

ᲚᲔᲜᲘᲜ�გᲠᲐᲓᲘ. 15 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე თამაშობდნენ მოსკოვის „ტორპედოსა“ და ლენინგრადის „შრომითი რეზერვების“ ფეხბურთელთა კოლექტივები. 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა ტორპედოელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲝᲛᲘ. 15 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. აქ შედგა სსრ კავშირის XVII ჩემპიონატის მორიგი ასპარეზობა. სტალინოს „შახტიორის“ ფეხბურთელები შეხვდნენ მინსკის „სპარტაკს“. მატჩი დამთავრდა „შახტიორის“ გამარჯვებით ანგარიშით 3:0.

ᲚᲘᲑᲐᲜᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲨᲘ

ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘ. 14 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. სპორტის ათასობით მოყვარული ესწრებოდა საერთაშორისო ამხანაგურ შეჯიბრებას ფეხბურთში ლიბანის ნაკრებ გუნდსა და ხარკოვის „ლოკომოტივს“ შორის. გაიმარჯვეს ხარკოველებმა ანგარიშით 7:1.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 17 და 18 ივლისს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, დროგამოშვებით წვიმა, უმეტესად საქმრეთ რაიონებში. ცვალებადი მმართველების სუსტი ზომიერშდე ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 16-21, დღისით 25-30 გრადუსი; მთიან რაიონებში ღამით 11-16, დღისით 21-26 გრადუსი;

აღმოსავლეთ საქართველოში, — ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ ხანმოკლე წვიმა და ელჭექი. ცვალებადი მმართველების სუსტი ზომიერამდე ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 18-22, დღისით 27-32 გრადუსი; მთიან რაიონებში ღამით 12-17, დღისით 21-26 გრადუსი.

რედაქტორი ნ. ᲯᲐᲨᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ 1955-56 სასწავლო წლისათვის I და II კურსებზე (ქართულ სექტორზე).

პირველ კურსზე მიიღებიან 8 კლასდამთავრებული, ხოლო მეორე კურსზე 11 კლასდამთავრებული მოქალაქეები ასაკით 14-დან 30 წლამდე.

8 კლასდამთავრებული ფრიადოსნები, აგრეთვე ის პირები, რომლებმაც საშუალო სასწავლებელი ოქროს ან ვერცხლის medal-ით დამთავრეს, მიუხედავად დამთავრების წლისა, მიიღებიან უგამოცდოდ. დანარჩენები აბარებენ გამოცდებს — 8 კლასდამთავრებულნი შემდეგ საგნებში: ა) სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ზეპირი), ბ) ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი), გ) რუსულ ენაში (წერა კარნახით), დ) რუსულ ლიტერატურაში (ზეპირი), ე) მათემატიკაში (ზეპირი).

11 კლასდამთავრებულნი გამოცდებს აბარებენ: ა) სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში (ზეპირი), ბ) ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი), გ) რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა კარნახით).

განცხადებების მიღება 31 ივლისამდე.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1) განათლების მოწმობა (ატესტატი, ბრალოდ დედანი), 2) დაბადების მოწმობის ასლი, 3) ავტობიოგრაფია, 4) სამი ცალი ფოტოსურათი (ზომით 3X4), 5) ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, 6) ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 7) სამხედრო ვალდებულთათვის სამხედრო ბილეთი ან მიწერის ცნობა.

მისაღები გამოცდები დაიწყება I კურსზე შემსვლელთათვის (8 კლასდამთავრებულთათვის) 16 აგვისტოს და II კურსზე შემსვლელთათვის 22 აგვისტოს.

სასწავლებელში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან არსებული წესის მიხედვით. 5%-ის ანგარიშში კურსდამთავრებული ფრიადოსნები შეღავათებით ისარგებლებენ უმაღლეს სასწავლებელში შესვლის არსებული დებულების მიხედვით.

საბუთების მიღება წარმოებს სასწავლებლის შენობაში კამოს ქუჩა № 51 დღის 3 საათიდან საღამოს 8 საათამდე. ტელეფონი № 3-81-67.

400-დან 100.000 ᲛᲐᲜᲔᲗᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲒᲒᲝᲗ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ 3%-ᲘᲐᲜᲘ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ ᲛᲝᲛᲒᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ ᲝᲒᲚᲘᲒᲐᲪᲘᲔᲑᲘᲗ

1955 წლის 30 ივლისს ქ. დნეპროპეტროვსკში შედგება ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ 3%-ᲘᲐᲜᲘ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ ᲛᲝᲛᲒᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ ᲛᲝᲒᲖᲔᲑᲐᲗᲐ მორიგი 46-ე ტირაჟი.

ამ ტირაჟში სულ გათამაშდება 32.551.400 მანეთის 59.500 მოგება, მათ შორის 50.000, 25.000, 10.000, 5.000, 1.000 და 400-მანეთიანი მოგებანი.

100.000-მანეთიანი მოგება გათამაშდება დამატებითს ტირაჟში. ყოველწლიურად იმართება სესხის მოგებათა ექვსი ძირითადი ტირაჟი — 30 იანვარს, 30 მარტს, 30 მაისს, 30 ივლისს, 30 სექტემბერს, 30 ნოემბერს და მოგებათა ერთი დამატებითი ტირაჟი — 30 სექტემბერს.

სესხის ობლიგაციებს ყიდიან და თავისუფლად ყიდულობენ შემნახველი სალაროები.

შეიძინეთ სახელმწიფო 3%-ანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციები!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.

ᲓᲦᲔᲡ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

ოპერისა და ბალეტის — აიდა, რუსთაველის სახელობის — გლახის ნაამბობი (ახალი სპექტაკლი), მარჯანიშვილის სახელობის — მოსამართლე მახვში.

ᲙᲘᲝᲗᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

რუსთაველის სახელობის, ამირანი, 26 კომისრის სახელობის, ისანი, პლეხანოვის სახელობის კლუბი, ორჯონიკიძის სახელობის პარკი — დოქტორ ვაგნერის საქ